პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წლი
ოთხშაბათი
28
ნოემბერი
№ 272
(17617)
ფასი
2 კაპ.

## გუშინ, 27 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა მოხსენებები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის და სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა სათანადო დადგენილება მიიღო.

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1979 წლის 27 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმა“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება — „სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

კამათში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ზ. სოკოლოვი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. გ. პავლოვსკი — სსრ კავშირის გზათა მინისტრი, გ. ა. ალიევი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ი. მანიაკინი — სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ე. მოროზოვი — ყაზახეთის კომპარტიის ცელინოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ალექსანდროვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ნ. ა. ტიხონოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაიყვანა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

## სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

1. მოწონებულ იქნეს ძირითადად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნული პროექტები შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

2. მთლიანად და სავსებით იქნეს მოწონებული ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, დაედოს ისინი საფუძვლად ყველა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოს, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას 1980 წლის გეგმის შესრულებისათვის, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე სკკპ XXV ყრილობის მითითებების რეალიზაციისათვის.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი დინამიკური და პროპორციული განვითარება, თანამიმდევრულად განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფას.

ბეჯითად უნდა ვიმუშაოთ სათბობ-საენერგეტიკო ბაზის, ენერგეტიკის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის. მაქსიმალურად გამოვიყენოთ რკინიგზისა და სხვა სახეობათა ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების რეზერვები და შესაძლებლობანი. უნდა ავამაღლოთ ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგება, რაციონალურად და ეკონომიურად გამოვიყენოთ შრომითი, ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და ფინანსური რესურსები, ყველაფერი, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას აქვს. უნდა გავაფართოოთ სახალხო მოხმარების კეთილხარისხოვანი საქონლის გამოშვება.

საჭიროა შეუნელებელი ყურადღება დავუთმოთ კვლავაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და შემდგომი განვითარება, ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის პროდუქციის წარმოების გადიდება. უკეთ უნდა გამოვიყენოთ ტექნიკა სოფლის მეურნეობაში და მისი განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები. ორგანიზებულად გამოვაზამთროთ პირუტყვი, არ დავუშვათ მისი სულადობის შემცირება, კარგად მოვემზადოთ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის. უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის გადიდება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის 1980 წლის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გადაჭრით გავაუმჯობესოთ საქმის ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში, ავამაღლოთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, შევამციროთ ახლად დაწყებული მშენებლობების რიცხვი, მთელი ძალები და სახსრები მოვახმაროთ ასამუშავებელ ობიექტებს, აგრეთვე მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას, ავამაღლოთ მშენებლობის ხარისხი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა სრულყონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, მოახმარონ იგი მასების შრომითი აქტიურობის ყოველმხრივ განვითარებას, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამაღლებას, მინდობილი საქმისათვის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, ხალხის კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

□ □

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები და კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ქვეყნის ყველა მშრომელი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ამრავლებენ მეცადინეობას ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში, 1980 წელს — მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს აღნიშნავენ ახალი მიღწევებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო!

საკითხს, რომელსაც დღეს განვიხილავთ, დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მომავალი წელი — ეს არის არა მარტო მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, არამედ ბაზაც, რომელსაც მომდევნო ხუთწლედი დაეფუძნება. ეს არის პარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი. სწორედ ამ პოზიციებით უნდა მივუდგეთ გაწეული მუშაობის შეფასებას და 1980 წლის ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ამხანაგების ნ. კ. ბაიბაკოვისა და ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებანი. კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ხუთწლედის დამდეგიდან, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების კვალობაზე, ჩვენ მნიშვნელოვნად დავწინაურდით სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გზაზე. (ტაში).

ოთხი წლის მანძილზე მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვეყანა მიიღებს 323 მილიარდი მანეთით მეტ ეროვნულ შემოსავალს, 600 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების მრეწველობის პროდუქციას. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 40 მილიარდი მანეთით და მეტად გაიზრდება.

საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი საქმიანობის გაქანება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება მშენებლობის უდიდესი მასშტაბით. სახალხო მეურნეობის კაპიტალური დაბანდებანი ოთხი წლის მანძილზე 500 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს არსებითად გავაფართოოთ ძირითადი საწარმოო ფონდები. 1979 წლის დამლევისათვის ისინი ტრილიონ მანეთს გადააჭარბებს და განახლდება თითქმის მესამედით. აქედან მრეწველობაში — 30 პროცენტით და სოფლის მეურნეობაში — 41 პროცენტით.

ამ პროცენტების მიღმა ათასამდე ახალი დიდი სამრეწველო საწარმო დგას, მათ შორის ისეთი ინდუსტრიული გიგანტები, როგორიც არის საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგური, კამის საავტომობილო ქარხანა, „ატომმანქანის“ ქარხანა. მათ შორის არის აგრეთვე ლენინგრადის, კურსკის, ჩერნობილის და სომხეთის ატომური ელექტროსადგურები, ლისიჩანსკისა და პავლოდარის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, კურსკის ტყავის ქარხანა, ლიპეცკისა და ჟიტომირის ხორცკომბინატები, კახოვკის მთავარი მაგისტრალური არხი და მრავალი სხვა.

გრძელდება ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების დინამიკური განვითარება. ოთხი წლის მანძილზე დასავლეთ ციმბირის, ბრატსკის, პავლოდარ-ეკიბასტუზის, ორენბურგის, ნიჟნეკამსკისა და სხვა კომპლექსებმა უზრუნველყვეს ნავთობისა და გაზის მოპოვების მთელი მატება, ელექტროენერგიის გამომუშავების, რკინის მადნის, ქვანახშირის მოპოვების, სატვირთო ავტომობილებისა და ტრაქტორების წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე უკვე დაგებულია 1.500 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი.

ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო მეურნეობის საბაზო დარგებს: გაიზარდა შავი და ფერადი ლითონების წარმოება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება. მაგალითად, წელს მოვიპოვებთ 585 მილიონ ტონა ნავთობს (გაზკონდენსატის ჩათვლით), ანუ 94 მილიონი ტონით მეტს 1975 წელთან შედარებით. სწრაფად იზრდება გაზის მოპოვება, რომელიც ამავე დროში თითქმის 40 პროცენტით გაიზრდება და 400 მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბებს. ელექტროენერგიის გამომუშავება 20 პროცენტით მოიმატებს და 1245 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს.

ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების დაჩქარებული განვითარების შედეგად უმჯობესდებოდა სამრეწველო წარმოების სტრუქტურა. თუ 1979 წელს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1975 წელთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდება, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში იგი გაიზრდება 40 პროცენტით, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში — 25 პროცენტით.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება; უფრო მრავალფეროვანი გახდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმის ბაზარი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ყველა საფუძველი აქვს იმისა, რომ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი ინდუსტრიის მოწინავეების, მრეწველობის ყველა დარგის საუკეთესო კოლექტივების მუშაობას. (ტაში).

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის აგრარული პოლიტიკა. სოფელმა მიიღო 1,5 მილიონი ტრაქტორი, 426 ათასი მარცვლასაღები კომბაინი, მილიონზე მეტი სატვირთო ავტომობილი, 317 მილიონი ტონა მინერალური სასუქი, 7 მილიარდ მანეთისაზე მეტი მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა. ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად სოფლის მეურნეობის გადაქცევის ტემპს დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ შრომის ენერგოაღჭურვილობა 1,4-ჯერ გაიზრდება.

ამის შედეგად ჩვენ შევძელით გაგვედიდებინა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა, ნაკლები დანახარჯებით დაგვეძლია ამინდის ჭირვეულობანი, რომლებიც ცალკეულ წლებში ზარალს აყენებს ჩვენი ქვეყნის მთავარ ბეღლებს. სოფლად მომხდარმა ცვლილებებმა, პარტიის ენერგიამ და ნებამ, ხალხის მამაცურმა შრომამ შესაძლებლობა მოგვცა ოთხი წლის მანძილზე მარცვლეულის საშუალო წლიური მთლიანი მოსავალი გაგვეზარდა 209 მილიონ ტონამდე, რაც თითქმის 27 მილიონით მეტია მეცხრე ხუთწლედთან შედარებით. მიმდინარე, ძალზე მძიმე წელსაც კი 179 მილიონი ტონა მარცვლეული მოვიწიეთ.

საყოველთაო-სახალხო მადლობა ყაზახეთის მშრომელებს! ქვეყნის ბეღლებში უკვე დაბინავებულია მილიარდ 261 მილიონი ფუთი ჩინებული ყაზახური მარცვლეული. (ხანგრძლივი ტაში).

წარმატებით შეასრულეს გეგმები და საგრძნობი წვლილი შეიტანეს პურის დამზადებაში რუსეთის ფედერაციის ორენბურგის, ომსკის, ჩელიაბინსკისა და ყურგანის ოლქებმა, უკრაინის ხმელნიცკის, ტერნოპოლისა და ლვოვის ოლქებმა. (ტაში).

დიდძალი მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს ალტაისა და კრასნოდარის მხარეების, ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეურნეობებმა. (ტაში).

კარგ შედეგებს მიაღწიეს აზერბაიჯანის, მოლდავეთის სოფლის მშრომელებმა, უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის მებამბეებმა, უკრაინის, ბელორუსიის მეკარტოფილეებმა, საქართველოს მეჩაიეებმა, ზოგიერთმა სხვა რესპუბლიკამ და ოლქმა. (ტაში).

კეთილსინდისიერად, დამკვრელურად მუშაობდა აგრეთვე იმ რესპუბლიკებისა და ოლქების ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც განსაკუთრებით დააზარალა უამინდობამ.

ნება მიბოძეთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა სახელით დიდი მადლობა ვუძღვნა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ქალაქების მცხოვრებთ და შეიარაღებული ძალების მეომართ, რომლებიც სოფელს ეხმარებოდნენ, ყველას, ვინც თავდადებით იბრძოდა 1979 წლის თითოეული ტონა მოსავლისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

სახალხო მეურნეობის წარმატებებმა შესაძლებლობა მოგვცა გეგმაზომიერად განგვეხორციელებინა უმნიშვნელოვანესი სოციალური საკითხების გადაწყვეტის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების კურსი, რომელიც პარტიამ დასახა. აქ ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელია რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, და ეს შემოსავალი ოთხი წლის მანძილზე 13 პროცენტით და მეტად გაიზრდება.

სრულდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის, აგრეთვე კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდის დავალებანი. წელს მთავრდება არასაწარმოო დარგების 31 მილიონი მუშა-მოსამსახურისათვის ახალი, უფრო დიდი განაკვეთებისა და სარგოების დაწესება. დამატებითი შეღავათი მიენიჭათ შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებს. ხელფასი მოემატა მშენებლობის სახაზო პერსონალს. ამ ცოტა ხნის წინათ გადაწყდა გადიდდეს ხელფასი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების რკინიგზებზე, შემოღებულ იქნეს წელთა ნამსახურობის სართი გზათა სამინისტროს საწარმოებში.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვა. საცალო საქონელბრუნვა შესადარ ფასებში გადიდდება 18 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა — მესამედით.

უდიდეს თანხას 410 მილიარდ მანეთზე მეტს მიაღწევს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. ამ მილიარდების დანიშნულება მოგეხსენებათ: უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის სოციალური და კულტურული მოთხოვნილებანი, უზრუნველვყოთ სახალხო განათლების შემდგომი განვითარება, მშრომელთა სამედიცინო დახმარებისა და დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესება, პენსიებისა და სტიპენდიების გაცემა.

(დასასრული მე-2 გვ.)

## სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

27 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის 1979 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სიზოვმა.

სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის 1980 წლის გეგმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი

## ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვი



ამხ. ნ. ა. ტიხონოვი დაიბადა 1905 წელს, სკკპ წევრია 1940 წლიდან. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1924 წელს ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწედ. დნეპროპეტროვსკის მეტალურგიის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1930 წლიდან არის ქარხნის ინჟინერი, საამქროს უფროსი, მთავარი ინჟინერი, დირექტორი. ეკავა მთელი რიგი ხელმძღვანელი თანამდებობანი სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროში — იყო სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი, მინისტრის მოადგილე. 1957 წელს მეთაურობდა დნეპროპეტროვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს. 1960 წლიდან იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი, 1963 წლიდან — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი. 1965 წლიდან მუშაობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1976 წლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

არის სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

იგი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

(დასასრული)

დასახულზე მეტი სახსრები მოხმარდა საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას. 423 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ასეთია ოთხი წლის შედეგი. აშენდა ბევრი საბავშვო ბაღი, სკოლა, საავადმყოფო, კლუბი, ბიბლიოთეკა. უდავოდ შესასწავლი და გასავრცელებელია მოსკოველთა გამოცდილება, რომლებიც მომეტებულსართულიანი მთლიანასაწყობი სახლების მშენებლობაზე გადავიდნენ. ამის შედეგად არა მარტო საგრძნობლად შემცირდა დანახარჯები, არამედ გაუმჯობესდა კიდეც ბინების ხარისხი, სახლების არქიტექტურული იერსახე.

ამრიგად, ამხანაგებო, ხუთწლედის დამდეგიდან დიდი მუშაობაა გაწეული სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის **(ხანგრძლივი ტაში).**

წარმატებანი აშკარაა, თანაც მნიშვნელოვანი. და ეს წარმატებანი ჩვენ კარგ საფუძვლად მიგვაჩნია 1980 წლის სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გზით მტკიცე წინსვლისათვის. **(ტაში).**

გეგმის პროექტით დასახული ტემპი უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის აბსოლუტური მატების არსებითს გადიდებას. დადებითია ისიც, რომ პროექტში გათვალისწინებულია თავი მოვუყაროთ ძალებს ისეთ საკვანძო უბნებზე, როგორიც არის ენერგეტიკა, ტრანსპორტი, შავი და ფერადი მეტალურგია. სოფლის მეურნეობა მიიღებს ბევრ მანქანასა და სასუქს. მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდება მსუბუქ და კვების მრეწველობას. გაიზრდება რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. შენარჩუნებულია საბინაო მშენებლობის სწრაფი ტემპი. უკეთ დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა მთელ რიგ საქონელზე. გათვალისწინებულია გაფართოვდეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან.

ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ძირითადად მოვიწონოთ 1980 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები. ვფიქრობ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მხარს დაუჭერს ასეთ დასკვნას და დაეთანხმება იმას, რომ ორივე პროექტი განსახილველად წარედგინოს უმაღლესი საბჭოს სესიას. **(ტაში).**

მაგრამ ნიშნავს თუ არა ზემოთქმული თითქოს ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებდეს გეგმის პროექტი და ოთხი წლის მუშაობის შედეგები? არა, არ ნიშნავს. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ მთელი რიგი პოზიციების მიხედვით 1980 წლის დავალებანი ხუთწლიან გეგმაზე ნაკლებია. ჯერ კიდევ არის დაძაბულობა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ უბანზე.

არ შეიძლება, რა თქმა უნდა, ანგარიში არ გავუწიოთ იმ ობიექტურ სიძნელეებს, რომლებსაც წააწყდა ეკონომიკა 1979 წელს — ალბათ, ყველაზე რთულს მეათე ხუთწლედში. მაგრამ, თუ შევეხებით მეურნეობაში შემორჩენილი ვიწრო ადგილებისა და ნაკლოვანებების მთავარ მიზეზს, იგი იმით გამოიხატება, რომ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების დარგში ვერ მოვახერხეთ წინ წაწევა ისე, როგორც გეგმით იყო დასახული.

სამინისტროებმა და უწყებებმა ყველგან ვერ დაძლიეს ინერციის ძალა, ბოლომდე ვერ შემოაბრუნეს მთელი მუშაობა ხარისხის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის მიმართულებით.

სახალხო მეურნეობას უზარმაზარი სახსრები ხმარდება. ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ბევრი სახეობის სათბობისა და ნედლეულის მოპოვებით, თუჯის, ფოლადის, ცემენტის, მინერალური სასუქების წარმოებით, მთელი რიგი სხვა მაჩვენებლებით. განუწყვეტლივ იზრდება საწარმოო ფონდები, წარმოებაში ებმება ახალ-ახალი შრომითი რესურსები. აი, საბოლოო შედეგი კი ნაკლებია, ვიდრე უნდა იყოს, ვიდრე ამას ჩვენი შესაძლებლობანი გვაძლევენ, სწორედ ამის შედეგია დისპროპორციები, დეფიციტები, არასაკმარისი რეზერვები.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ცალკეულ პრობლემებს— უმთავრესად იმ თვალსაზრისით თუ რა უნდა გავაკეთოთ მათი გადაწყვეტისათვის უკვე 1980 წელს და მეთერთმეტე ხუთწლედში.

აქ, ამხანაგებო, უკვე ვილაპარაკეთ ნაკლოვანებებზე. დავიწყებ საკითხით, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა, — ეს არის **ტრანსპორტის,** უწინარეს ყოვლისა რკინიგზის მუშაობა, ტრანსპორტი, რა თქმა უნდა, ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. ახლა კი, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მრეწველობის უმაგალითო გადანაცვლების, სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავების პირობებში, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იზრდება.

ამ მოსალოდნელ სიძნელეთა გამო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1977 წლის იანვარში მიიღეს სპეციალური დადგენილება მიმდინარე ხუთწლედში რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების ღონისძიებათა შესახებ. მაგრამ ვერც გზათა სამინისტრომ და ვერც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ვერ უზრუნველყვეს მისი სათანადო შესრულება. ამის შედეგად უხეშად ირღვევა უმნიშვნელოვანესი ტვირთის კერძოდ, სათბობის, მადნის, ხე-ტყის, მარცვლეულის გადაზიდვის გეგმები. ამისათვის არცთუ მცირე პასუხისმგებლობა ეკისრება ამხ. ი. გ. პავლოვსკის, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელებს. მათ, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, უთუოდ უნდა დაამყარონ წესრიგი რკინიგზებზე, განამტკიცონ დისციპლინა ყველა რგოლში. სასწრაფო ღონისძიებებს მოითხოვს თბომავლებისა და ელმავლების პარკის შევსება. ვაგონების რემონტის გაფართოება და გაუმჯობესება, სასადგურო მეურნეობის განვითარება. საჭიროა აგრეთვე მკვეთრად ავამაღლოთ მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის საწარმოთა პასუხისმგებლობა ვაგონების დროული დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის. ამ, ისევე როგორც ტრანსპორტის მუშაობის სხვა საკითხებზე, ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ყოველივე ეს, ვიმეორებ, გადადებას ვერ ითმენს. ტრანსპორტის მდგომარეობა რაც შეიძლება მალე უნდა გაუმჯობესდეს.

მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ პერსპექტივას, იმისათვის, რომ რადიკალურად გადავწყვიტოთ ტრანსპორტის პრობლემა, ეს არ კმარა. უნდა შევიმუშაოთ ტრანსპორტის განვითარების ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამა, რომელიც შეისისხლხორცებს მეცნიერულ-ტექნიკური აზრის საუკეთესო მიღწევებს. ამ პროგრამამ უნდა მოიცვას ყოველგვარი ტვირთზიდვის განვითარებისა და ურთიერთდაკავშირების საკითხები. იგი უნდა ითვალისწინებდეს რკინიგზების მოდერნიზაციას, მილსადენი, სამდინარო, საავტომობილო ტრანსპორტის ზრდის უპირატეს ტემპს, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტვირთზიდვის ორგანიზაციის ძირეულ გაუმჯობესებას, მის უფრო რაციონალურ დაგეგმვას.

ასეთი პროგრამის მომზადება და ყველა სახეობის ტრანსპორტის ყოველდღიური ეფექტიანი მართვა მოითხოვს, რომ გადაჭრით გაძლიერდეს სატრანსპორტო სამინისტროებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებლობა.

შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო **სათბობისა და ენერგეტიკის** საკითხებს. პლენუმის მონაწილეებს, თქვა მან, კარგად მოეხსენებათ, რომ ჩვენ მსოფლიოში უდიდესი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი გვაქვს. მარტო უკანასკნელ 15 წელიწადში ელექტროენერგიის გამომუშავება და ნავთობის (გაზის კონდენსატის ჩათვლით) მოპოვება გაიზარდა თითქმის 3-ჯერ, გაზისა კი 4-ჯერ და მეტად. თანამედროვე ენერგეტიკა სულ უფრო მეტად ეყრდნობა მეცნიერების მიღწევებს, დიდმწარმოებლურ ტექნიკას. მაგალითად, ლენინგრადში დაიწყეს თბოელექტროსადგურებისათვის 800 ათასი კილოვატი ერთეული სიმძლავრის ენერგოაგრეგატების გამოშვება, შექმნეს მილიონ 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის მთავარი ენერგეტიკული ბლოკის მოწყობილობა, აითვისეს მილიონი კილოვატი სიმძლავრის ატომური რეაქტორების წარმოება. ეს მნიშვნელოვნად დაზოგავს სათბობს, მატერიალურ და შრომითს რესურსებს.

მაგრამ, ვინაიდან სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ძნელდება, საჭიროა კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონოთ ენერგეტიკული პრობლემების მთელი კომპლექსი.

უახლოეს ამოცანებზე თუ ვილაპარაკებთ, უწინარეს ყოვლისა საჭიროა შევქმნათ ზამთრისათვის სათბობის საკმარისი მარაგი. ეს მენავთობეების, მეშახტეების, გაზის მრეწველობისა და განსაკუთრებით ტრანსპორტის მუშაკების მწყობრ მუშაობას მოითხოვს. უეჭველად უნდა შესრულდეს სათბობის დაზოგვის საგეგმო დავალებანი. ამისათვის უნდა იზრუნონ არა მარტო სამეურნეო ორგანიზაციებმა, არამედ თავიდან ბოლომდე ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანომ.

ამოცანა ის არის, რომ 80-იანი წლებისათვის არსებითად გავაუმჯობესოთ ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი და უწინარეს ყოვლისა შევამციროთ ნავთობის, როგორც ელექტროსადგურების სათბობის წილი. რეალურია თუ არა ეს? როგორც გაანგარიშება ცხადყოფს, სავსებით რეალურია.

ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, კიდევ უფრო მეტად დავაჩქაროთ გაზის მოპოვების ტემპი, განსაკუთრებით დასავლეთ ციმბირში, და ფართო მასშტაბით უზრუნველვყოთ მაზუთის შეცვლა გაზით. მეორე, უფრო სწრაფად უნდა განვავითაროთ ატომური ენერგეტიკა, თანაც არა მარტო ელექტროენერგიის წარმოებისათვის, არამედ აგრეთვე თბოფიკაციის საჭიროებისათვის, — აქ საკმაოდ მნიშვნელოვანი რეზერვებია, და ეს ძალზე მომგებიანი საქმეა. და, მესამე, უნდა დავაჩქაროთ ეკიბასტუზის, კანსკ-აჩინსკის, კუზნეცკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების ათვისება და, რასაკვირველია, შესაბამისი ელექტროგადამცემი ხაზების, უწინარეს ყოვლისა ეკიბასტუზ-ცენტრის 1.500 კილოვოლტი ძაბვის მუდმივი დენის ხაზის გაყვანა. სხვათა შორის უნდა აღვნიშნო, რომ აღმოსავლეთ ყაზახეთში უნიკალური თბოელექტროსადგურების მშენებლობა ძალზე ცუდად მიმდინარეობს. ამხ. პ. ს. ნეპოროჟნის ვურჩევდი დაუყოვნებლივ გაერკვეს და ენერგიულად ჩაერიოს ეკიბასტუზის საქმეებში და საჭირო ღონისძიებანი განახორციელოს.

მაგრამ რა ტემპითაც უნდა განვავითაროთ ენერგეტიკა, სათბობისა და ენერგიის დაზოგვა მუდამ უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანა იქნება. ამიტომ გეგმებით უნდა გავითვალისწინოთ მოძველებული, მეტისმეტად ენერგოტევადი მოწყობილობის შეცვლის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიის ფართო გამოყენების, სამრეწველო ნაგებობათა და საცხოვრებელ შენობათა თბომედეგობის ამაღლების მზარდი დავალებანი. სათბობისა და ენერგიის დაზოგვას უნდა ცდილობდეს ყოველი კოლექტივი, ყოველი მშრომელი.

და ბოლოს, ჩვენი მოვალეობაა დროულად ვიზრუნოთ ენერგეტიკის მომავლისათვის, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.

მაშასადამე, პერსპექტიული გეგმები უნდა ითვალისწინებდეს სწრაფი ნეიტრონებით მოქმედი რეაქტორებიანი ატომური ელექტროსადგურების ფართო მშენებლობას, მართული თერმობირთვული სინთეზის, სინთეზური თხევადი სათბობის წარმოების, მზისა და გეოთერმული ენერგიის გამოყენების სამუშაოთა გაშლას.

ენერგეტიკის დაჩქარებული განვითარება დიდ ღონისძიებებსა და კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს. ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტის ეფექტიანი გზების განსასაზღვრავად შექმნილია სპეციალური კომისია.

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად, თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, კვლავ **რჩება მეტალურგია და მანქანათმშენებლობა.** დიდი მასშტაბით ლითონის წარმოების მიუხედავად, იგი კვლავინდებურად არ გვყოფნის.

ეს გამოწვეულია მიზეზების სამი ჯგუფით: პირველი, ნელა ხდება ძირეული თვისებრივი ცვლილებანი თვით მეტალურგიაში. მეორე, ჩამორჩება ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა ლითონის მომხმარებელ ძირითად დარგებში. მესამე, პირდაპირ ანიავებენ ლითონს, ჯეროვნად არ ინახავენ და დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.

არაერთგზის თქმულა, რომ ლითონის წარმოების მიღწეული დონის პირობებში შავი მეტალურგიის შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებაა არა იმდენად მისი რაოდენობრივი ზრდა, რამდენადაც ლითონპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და სორტამენტის გაფართოება. დარწმუნებული ვარ, ეს ესმით ამხ. ი. პ. კაზანეცსაც და სხვა ამხანაგებსაც, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შავი მეტალურგიისათვის. მაგრამ საქმით ტექნიკური პროგრესის გზა დუნედ ხორციელდება. აშკარად ჩამორჩება მძლავრი ჟანგბადის კონვერტერებისა და ელექტროღუმელების, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანერგვა, საკმარისად არ იზრდება ეკონომიურ სახეობათა ნაგლინის წილი.

შავი მეტალურგიის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშენებლებსაც. საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები ხშირად ირღვევა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს უფლება აქვს მოჰკითხოს ამისათვის ამხ. ნ. ვ. გოლდინს, რომელსაც მინდობილი აქვს სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობა.

ლითონის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია მანქანათმშენებლობა. ჩვენ ვაფასებთ ამ დარგის მიღწევებს და მისი დაჩქარებული განვითარება მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს პირობად მიგვაჩნია, იოლი როდია სახსრების გადანახვა მისი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად. მაგრამ მანქანათმშენებლობის მიმართ პრეტენზიებიც გვაქვს. ბევრი მანქანისა და მოწყობილობის ლითონტევადობა უზომოდ დიდია. არ კლებულობს ნარჩენების წილი ლითონდამუშავებაში, ნელა ინერგება ზუსტი ნამზადები.

საყვედურის ღირსია ზოგიერთი სახეობის მანქანა-მოწყობილობის ტექნიკური დონე და ხარისხი. არის ფაქტები, როცა იწყებენ ხოლმე ისეთი მანქანების წარმოებას, რომლებსაც კონსტრუქციული ხარვეზები აქვთ. ამის ახალი მაგალითია ჩებოქსარის სატრაქტორო ქარხნის — იმ ახლად აშენებული ქარხნის პროდუქცია, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდით. მაგრამ მძიმე ტრაქტორების პირველი პარტია ნაკლებად გამოდგა იმ სამუშაოებისათვის, რომლებისთვისაც იყო ძირითადად განკუთვნილი. ამისათვის პასუხს აგებენ მინისტრი ამხ. ი. თ. სინიცინი და ქარხნის დირექტორი ამხ. ვ. ტ. დესიატოვი.

მეტისმეტად ჭიანურდება ზოგიერთი მანქანათსაშენებელი ქარხნის გარდაქმნაც ახალი, თანამედროვე პროდუქციის გამოსაშვებად. კერძოდ, გაჭიანურდა პავლოდარის სატრაქტორო ქარხნის გადაყვანა „კ-701“ მარკის მძლავრი ტრაქტორის გამოშვებაზე, რომელიც კარგი გამოდგა ყამირის მიწათმოქმედების პირობებში.

მანქანათმშენებლობაშიც და მეტალურგიაშიც არის მთელი რიგი მიმართულებანი, სადაც ნაკლები დანახარჯებით შეიძლება მნიშვნელოვანი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღება. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა ამაღლდეს ლითონის ნაკეთობათა სიმტკიცე, გაძლიერდეს კოროზიასთან ბრძოლა, უფრო სწრაფად განვითარდეს ფხვნილთა მეტალურგია, აგრეთვე ლითონის შემცვლელთა წარმოება. ყოველივე ეს კი არათანამიმდევრულად, მე ვიტყოდი, გაუბედავად სრულდება.

იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, შესაბამისმა სამინისტროებმა მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა უზრუნველყონ გადამწყვეტი შემობრუნება ლითონის ხარისხისა და ეკონომიისაკენ. სხვა გზა არ არის.

ამხ ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი ყურადღება დაუთმო ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო პრობლემას, როგორიც არის **კაპიტალური მშენებლობა.** ამ დარგს ყოველწლიურად ეროვნული შემოსავლის მეხუთედზე მეტი ხმარდება და იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ სახსრებს, დამოკიდებულია ჩვენი ეკონომიკის მაჩვენებლებიც, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპიც და წარმოების ეფექტიანობაც.

ჩვენ ბევრს ვაშენებთ. ამასთანავე კაპიტალური მშენებლობის საქმის მდგომარეობა ვერ გვაკმაყოფილებს. მშენებლობის ვადები ხშირად ჭიანურდება. დაუმთავრებელმა მშენებლობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ნორმატივებს. რესურსები ხშირად ხმარდება მშენებლობებს, რომლებიც სრულიადაც არ განეკუთვნება პირველი რიგისას. აქ ურიგდებიან არა მარტო შეცდომებს, კუთხურობას, არამედ აშკარა თვითნებობის შემთხვევებსაც.

ცენტრალურ კომიტეტს აქვს ზოგიერთი კონკრეტული ფაქტი და დაავალებს სათანადო ორგანოებს გამოიძიონ ისინი.

პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო კომიტეტების მდივნები მოვალენი არიან გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები, გადაჭრით აღკვეთონ კაპიტალდაბანდებათა მითვისება, დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების უმუშახელოდ და უმასალოდ დატოვება.

ანალიზი გვიჩვენებს, აღნიშნა შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სიმძლავრეთა მშენებლობა ერთმანეთთან დაკავშირებულ დარგებში შეუთანხმებლად წარმოებს.

უდიდესი გარჯის ფასად ავაშენეთ სასუქის საწარმოო უზარმაზარი ქარხნები, ახლა კი ირკვევა, რომ თურმე ამხ. ლ. ა. კოსტანდოვს უქმად უცდება მილიონობით ტონა სასუქის საწარმოო სიმძლავრენი იმიტომ, რომ ნედლეული და გაზი არ ჰყოფნით. ადრე რაღას ფიქრობდნენ? რატომ გამოყვეს ფული ქარხნების ასაშენებლად, თუ არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ისინი შეძლებდნენ მუშაობას? ჩვენ უფლება გვაქვს ამ კითხვით მივმართოთ ამხ. კოსტანდოვსაც და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკებსაც.

ანდა, ასეთი მაგალითები. უკანასკნელ წლებში ამოქმედებული რუზისა და პენზის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნების (მინისტრი — ამხ. კ. ი. ბრეხოვი) სიმძლავრენი 1979 წლის პირველ ნახევარში სანახევროდაც არ გამოუყენებიათ. ძირითადი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ისინი ვერ დააკომპლექტეს კადრებით. აქაც იბადება კითხვა: ნუთუ არ შეიძლებოდა დროზე ეზრუნათ კადრების მიზიდვისათვის?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ჯეროვნად ვერ უმკლავდება უწყებრიობისა და კუთხურობის შემოტევას, რომლებიც ძალას აცლიან გეგმას, აფერხებენ ეკონომიკის პროპორციულ ზრდას. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელობამ მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. და ამ საქმეში სკკპ ცენტრალური კომიტეტი მას მთლიანად დაუჭერს მხარს. **(ტაში).**

1980 წლის გეგმის პროექტის განხილვისას შემოვიდა წინადადება შევამციროთ ახლად დასაწყებ მშენებლობათა რიცხვი, მთელი ძალღონე მოვახმაროთ ასამოქმედებელი ობიექტების დამთავრებას და სიმძლავრეთა უსწრაფეს ამოქმედებას, ასეთია ამჟამად ჩვენი ამოცანები.

საწარმოო ობიექტების მშენებლობის გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეალისტურად გავითვალისწინებთ მათი მომავალი შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველმყოფ ყველა ფაქტორს — ნედლეულს, ტრანსპორტს, მუშახელს, ხოლო როცა გადაწყვეტილება მიღებულია, კაპიტალური დაბანდებანი, მატერიალური და ფინანსური რესურსები უნდა მოვახმაროთ ახალ მშენებლობებს ზუსტად ნორმატივების შესაბამისად.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი, რომლებიც მეტნაკლებად არიან დაკავშირებული კაპიტალურ მშენებლობასთან, მთელი პასუხისმგებლობით მიუდგებიან სახალხო მეურნეობის ამ სფეროში მდგომი ამოცანების შესრულებას. **(ტაში).**

შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო **სურსათით,** განსაკუთრებით **ხორცით, მოსახლეობის მომარაგების** პრობლემებს. მან თქვა: მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტების შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფა, საკმაოდ და ფართო ასორტიმენტით წარმოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც გამომდინარეობს პარტიის კურსიდან მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

ამ ამოცანის გადაწყვეტისას ჩვენ, ბუნებრივია, მთავარ ყურადღებას ვუთმობდით სოფლის მეურნეობის აღმავლობას. მარტო სამი უკანასკნელი ხუთწლედის მანძილზე სოფლად დაახლოებით 400 მილიარდი მანეთი დავაბანდეთ. მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებანი მოხმარდება სოფელს მეთერთმეტე ხუთწლედშიც.

ამავე დროს ჩვენ უფლება გვაქვს, ჩვენ უნდა ავამაღლოთ მომთხოვნელობა სახსრებისა და ტექნიკის რაციონალური გამოყენებისათვის, იმისათვის, რომ სოფლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება უფრო საგრძნობ გავლენას ახდენდეს სურსათით ქვეყნის მომარაგების დონეზე.

მოგეხსენებათ, რაოდენ რთული დარგია მეცხოველეობა. მაგრამ მისთვისაც ხომ ძალზე ბევრი რამ კეთდება. თუმცა სასურსათო მარცვლეულზე არსებული მოთხოვნილება უკვე დიდი ხანია სრულად კმაყოფილდება, ჩვენ კვლავ ვაძლიერებთ მარცვლეულის წარმოებას, ვაძლიერებთ საკვების გულისათვის. აშენებულია ათასობით ახალი ფერმა და კომპლექსი. ფრიად შთამბეჭდავია პირუტყვის სულადობაც. რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა სპეციალური დარგი, რომელიც მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანებს უშვებს.

მაგრამ უკუგება კი ჯერჯერობით აშკარად მცირეა. უკვე რამდენიმე წელია ხორცის წარმოება ძალიან ნელა იზრდება. მიზეზებს შორის ასახელებენ საკვების შეუწონასწორებლობას ცილების მიხედვით. მე საეჭვოს არ ვხდი ასეთი პრობლემის არსებობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ჩვენი მეურნეობის ახლანდელი დონის, მეცხოველეობაზე გაწეული დანახარჯების ახლანდელი მასშტაბის პირობებში ამ პრობლემის, ისევე როგორც სხვა პრობლემების გადაჭრა გაცილებით უფრო სწრაფად შეიძლება.

მეცხოველეობის განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი ჩვენ საფუძვლიანად განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე. პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება, ქვეყანაში ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელთა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სპეციალისტების, მეცხოველეობის ყველა მუშაკის უპირველესი მოვალეობაა **(ტაში).**

შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა რამდენიმე მოსაზრება გამოთქვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის თაობაზე, ალბათ, ძნელად მოიძებნება სხვა დარგები, სადაც საბოლოო შედეგები ასე დიდად იყოს დამოკიდებული ხარისხზე, მაგრამ ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი დღემდე ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საქმის ამ მხარეს. მაშასადამე მათ არც აძლევენ ჯეროვან სტიმულს პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მისი დაცვა-შენახვისათვის საბრძოლველად. ეტყობა, მომწიფდა ასეთი სტიმულების — მატერიალური და მორალური სტიმულების სრულყოფის საკითხი. საგეგმო მაჩვენებლებს, აგრეთვე ფასებს გაცილებით მეტად უნდა განსაზღვრავდეს ხარისხი.

მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობაში ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული პროდუქციის პირველადს დამუშავებაზე, რომელიც მოსავლის აღებისთანავე ხორციელდება, — შრომის, დახარისხების, წმენდის ოპერაციებზე. მაგრამ თუ იგი არ შესრულებულა ან ცუდად შესრულდა, მაშინ დანაკარგები, ხარისხის მკვეთრი გაუარესება გარდაუვალი ხდება. გარდა ამისა, მოწეული პროდუქციის (განსაკუთრებით ბოსტნეულისა და ხილის) ნაწილი, რომელიც ტრანსპორტირებისა და ხანგრძლივი შენახვისათვის არ ვარგა, შეიძლება გამოვიყენოთ დაუყოვნებლივ გადამუშავებისათვის — დავამზადოთ წვენები და პამიდვრის პასტა, დავამარილოთ და დავამწნილოთ და სხვ. ამავე დროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირველადი გადამუშავების სიმძლავრენი კვლავ ძალიან სუსტია. მაშასადამე, უნდა გავზარდოთ სახელმწიფო და საკოლმეურნეო დაბანდებათა ის წილი, რომელიც ამ სიმძლავრეთა შექმნას ხმარდება. მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება დამაჯერებლად ადასტურებს ასეთი მიდგომის ეფექტიანობას.

არსებითი გაუმჯობესება სჭირდება სახელმწიფოს მიერ შესყიდული პროდუქციის დაცვა-შენახვის სისტემასაც. მისი ნაწილი უფრო ხელსაყრელია გარკვეული დროის მანძილზე შევინახოთ უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ გზით შეიძლება არა მარტო ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი და შევამციროთ დანაკარგები, არამედ ნაკლებადაც დავტვირთოთ ცენტრალიზებული საცავები, უფრო თანაბარზომიერად გამოვიყენოთ ტრანსპორტი და მუშახელი. მაშასადამე, უნდა გავაფართოოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწყობ-საცავების მშენებლობა.

საბოლოო ანგარიშით მომხმარებელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხზეც და რაოდენობაზეც იმის მიხედვით მსჯელობს, რასაც უყურებს და რის ყიდვაც მაღაზიაში შეუძლია. სწორედ ამიტომაც უნდა მივაღწიოთ იმ ჯაჭვის ყველა რგოლის შეუფერხებელ, შეთანხმებულ მუშაობას, რომელიც მინდორსა თუ ფერმას მომხმარებელთან აკავშირებს. აქ ყველაფერი ერთნაირად მნიშვნელოვანია — ტრანსპორტი და ტარის წარმოება, პროდუქციის დაცვა-შენახვა და გადამუშავება, და ბოლოს, ვაჭრობა. უფრო ენერგიულად უნდა ვასრულებდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორი უკანასკნელი პლენუმის მითითებებს, ვძლევდეთ შემორჩენილ ნაკლოვანებებს, რომლებიც თითქმის თითოეულ ამ რგოლში გვაქვს.

უნდა გავაუმჯობესოთ კვებისა და რძის მრეწველობის მუშაობა. რატომ არის, მაგალითად, რომ მცირდება პურფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ასორტიმენტი? ანდა, რატომ არის, რომ თუმცა ესოდენ დიდძალ რძეს ვაწარმოებთ, მაგრამ არის შეფერხებები რძის პროდუქტებით, კარაქით, ყველით მომარაგებაში? ვფიქრობ, ამხანაგები ვ. პ. ლეინი და ს. თ. ანტონოვი მიხვდებიან, რომ ეს კითხვები უწინარეს ყოვლისა მათი მისამართით არის დასმული და პრაქტიკულ გადაწყვეტას მოითხოვს.

ცხოვრება გვიჩვენებს, თქვა შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არ უნდა განვიხილავდეთ სურსათის დამზადების, ტრანსპორტის, დაცვა-შენახვის, გადამუშავებისა და ვაჭრობის სისტემისაგან იზოლირებულად. ყოველივე ეს ერთიანი სასურსათო კომპლექსია. როგორც ერთიანი მთლიანი, ისე უნდა იგეგმებოდეს. კაპიტალდაბანდებებისა და სხვა რესურსების განაწილება უნდა დავუქვემდებაროთ საბოლოო მიზანს — სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას. როგორც ერთიანი კომპლექსი, იგი უნდა ვმართოთ, უზრუნველვყოთ პროდუქციის შეუფერხებელი და სწრაფი გავლა წარმოებიდან დახლებამდე. საგეგმო მაჩვენებლების მატერიალური სტიმულირების სისტემა ისე უნდა ავაგოთ, რომ თითოეული რგოლის მუშაკები დაინტერესებული იყვნენ მომხმარებელს მიაწოდონ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია და ამასთან მაღალხარისხოვანი პროდუქცია. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა წყდებოდეს სურსათის საკითხი ახალ ხუთწლედში. **(ტაში).**

ცენტრალური კომიტეტი შეშფოთებულია ზოგიერთი **სამრეწველო საქონლით** მოსახლეობის მომარაგების შეფერხებითაც. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობა, რა თქმა უნდა, იზრდება, მაგრამ მოთხოვნები ხარისხისა და ასორტიმენტისადმი აშკარად უსწრებენ იმას, რასაც მრეწველობა გვთავაზობს.

უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, გაზეთების რედაქციებში მოდის წერილები და საჩივრები ისეთი საქონლით ვაჭრობაში შეფერხებების შესახებ, რომელსაც რატომღაც „წვრილმანებად“ ნათლავენ: უმარტივესი მედიკამენტები, საპონი, სარეცხი ფხვნილი, კბილის ჯაგრისი და პასტა, ნემსი, ძაფი, ბავშვის თეთრეული, მსუბუქი მრეწველობის სხვა საქონელი. ეს, ამხანაგებო, მიუტევებელია.

ამაში ბრალი მიუძღვით ასეთი საქონლის მწარმოებელ სამინისტროებს, და უწინარეს ყოვლისა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი — ამხ. ნ. ნ. ტარასოვი). ბრალი მიუძღვის ვაჭრობის სამინისტროსაც (მინისტრი — ამხ. ა. ი. სტრუევი). ვაჭრობის პირდაპირი მოვალეობა ის არის, რომ გაცილებით უფრო აქტიური გავლენა მოახდინოს წარმოებაზე, მრეწველობისაგან მიიღოს ის საქონელი, რომელიც ნამდვილად სჭირდება მომხმარებელს, უფრო ოპერატიულად გასწიოს რესურსების მანევრი.

მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ უკვე 1980 წელს. უნდა მოვძებნოთ კონკრეტული დამნაშავენი თითოეული „დეფიციტისა“, რომელიც გამოწვეულია გულგრილობით, უპასუხისმგებლობით, დოყლაპიობით, და ისინი დავსაჯოთ. **(შეძახილები: სწორია. ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და სახალხო კონტროლის მიერ ჩატარებული შემოწმება მოწმობს, რომ ყოველდღიური მოთხოვნილების ბევრი საქონელი შეიძლება წარმატებით ვაწარმოოთ ადგილებზე. ამიტომ ცენტრში სამინისტროებისა და უწყებების, მგეგმავი და სავაჭრო ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებასთან ერთად საჭიროა, რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე უფრო საფუძვლიანად, ხოლო, რაც მთავარია, ინიციატივიანად, მუშაობდნენ ადგილობრივი მრეწველობა, სამომხმარებლო კოოპერაცია, საბჭოები და მათი მუდმივი კომისიები. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ადგილობრივი ნედლეული, განსაკუთრებით შორეულ რაიონებში.

შეაჯამა რა ნათქვამი, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ, როცა ზოგიერთ პრობლემას შეეხო, მხედველობაში მარტო ის როდი ჰქონდა, რომ ერთხელ კიდევ აღენიშნა არსებული სიძნელენი, მთავარი სულ სხვაა: მუშაობის რა უბანიც უნდა ავიღოთ, ყველგან უნდა ვხედავდეთ უდიდეს შესაძლებლობებს, უდიდეს რეზერვებს წარმატებული წინსვლისათვის. მაგრამ ისინი რომ გამოვიყენოთ, საჭიროა **ავამაღლოთ მართვის დონე** ამ სიტყვების უფართოესი გაგებით.

მომავალ ხუთწლედში უნდა განვახორციელოთ დიდი ცვლილებები ეკონომიკის სტრუქტურასა და პროპორციებში, სრულვყოთ ჩამოყალიბებული დარგობრივი და ტერიტორიული კავშირურთიერთობა, გამოვავლინოთ ის რგოლები, სადაც მინიმალური დანახარჯების ფასად შეიძლება მივიღოთ უმეტესი და სწრაფი ეფექტი. ყოველივე ეს ღრმად უნდა გაიაზროს, გამოიანგარიშოს და კონკრეტული საგეგმო დავალებებისა და ციფრების ენაზე თარგმნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა — ქვეყნის უმაღლესმა საგეგმო ორგანომ. მაშასადამე, ყველანი დაინტერესებული ვართ, რომ ავამაღლოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლი, გავაუმჯობესოთ მისი მუშაობა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ერთ წელზე მეტი ხნის წინათ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობის შესახებ. ამ გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელება უნდა დავაჩქაროთ. ეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაეხმარება უკეთ მოამზადოს ახალი ხუთწლედი.

მისი პრინციპული საფუძველი, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, ნათელია: თანამიმდევრულად რომ გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა, საჭიროა გაორკეცებული, გასამკეცებული ენერგიით განვახორციელოთ პარტიის მიერ დასახული ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსი. ამ კურსს ალტერნატივა არა აქვს და იგი განუხრელად უნდა შესრულდეს მეთერთმეტე ხუთწლედში. **(ტაში).** სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინასწარ უნდა იცოდეს, თუ კონკრეტულად როგორ უნდა შეესხას ხორცი პარტიის კურსს, მის გადაწყვეტილებებს საგეგმო დავალებებში, რა გზებით, რის ხარჯზე უნდა ამაღლდეს მეურნეობის ეფექტიანობა. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, როგორ უნდა გადაწყდეს არსებული და ის პრობლემებიც, რომლებსაც შეიძლება წავაწყდეთ ოთხმოციან წლებში. ამიტომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა მომდევნო წლის იანვარში სკკპ ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს მეთერთმეტე ხუთწლედის ზოგადი კონცეფცია 1990 წლამდე პერსპექტივის გათვალისწინებით. ამასთან მიეცა დავალება მთავარი პრობლემების მიხედვით შეიმუშაოს მათი გადაწყვეტის არა ერთი, არამედ რამდენიმე ვარიანტი, ობიექტურად შეაფასოს თითოეული მათგანის პლუსები და მინუსები.

სახალხო მეურნეობის წინაშე, განსაკუთრებით მომავალი ხუთწლედის წინ დასახულ აქტუალურ ამოცანათა გადაწყვეტაში პარტიას ჩვენი მეცნიერების — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკური და დარგობრივი აკადემიების, ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქმედითი დახმარების იმედი აქვს — უფრო ენერგიულად უნდა იმუშაოს აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა.

დაგეგმვისა და მთელი სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი და კონკრეტული ღონისძიებანი განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ზაფხულში მიღებულ დადგენილებებში.

ეს დოკუმენტები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის მითითებათა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებათა შესრულებისათვისაა მომზადებული, მთელ მმართველობითს და სამეურნეო საქმიანობას წარმართავენ მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევისათვის. მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა. საჭიროა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომაც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომაც შეუნელებელი კონტროლი დაუწესონ ამ დადგენილებათა განხორციელებას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ზემდგომი ორგანოები არ ლახავდნენ საწარმოების, გაერთიანებების, შრომითი კოლექტივების უფლებებს.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას რომ შეეხო, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა ამოცანა დააჩქარონ ხელის, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ხელის შრომის მექანიზაცია, მეტად იზრუნონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის, განსაკუთრებით ციმბირისა, შორეული აღმოსავლეთისა და ყაზახეთის ახლად ათვისებულ რაიონებში, სერიოზულად გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია, დროულად მოამზადონ კვალიფიციური კადრები.

უკანასკნელ ხანს, აღნიშნა მან, გაფართოვდა პრაქტიკა, როცა ადგილობრივი ორგანოები საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან იწვევენ ადამიანებს და ასაქმებენ სხვადასხვაგვარ სამუშაოებზე — მოსავლის აღებაზე, დამამზადებელ ორგანიზაციებში, მშენებლობაზე, კეთილმოწყობაში და ასე შემდეგ. ზოგ შემთხვევაში ეს საქმისათვის სასარგებლოა, ზოგჯერ კი არა. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ამ საქმეში ხშირია არაორგანიზებულობის, უპასუხისმგებლობის შემთხვევები. ეს იწვევს შრომის დიდ დანაკარგებს, საწარმოთა ნორმალური მუშაობის დარღვევას, მათი ხელმძღვანელობის სწრაფვას „მარაგად“ იყოლიონ ზედმეტი მუშახელი. დროა აქ დავამყაროთ წესრიგი. აღმოვფხვრათ გაუპიროვნება და სხვისი მოიმედეობა. ეს ქალაქისა და სოფლის საშეფო ურთიერთობის განხორციელებასაც ეხება. **(ხმები: სწორია. ტაში).**

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი ყურადღება დაუთმო **დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას** მუშაობის ყველა დონეზე, ყველა უბანზე. ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენს წინაშე, მოითხოვს, კერძოდ, გაძლიერდეს, გამკაცრდეს კონტროლი საგეგმო დავალებების, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი. თორემ ყოველ წელს იძულებული ვიქნებით დავუბრუნდეთ ხოლმე ერთსა და იმავე საკითხებს. ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო უფრო ხშირად მოუსმენს თავის სხდომებზე ამხანაგებს, რომლებიც პასუხს აგებენ მუშაობის ამა თუ იმ მიმართულებისათვის. ანალოგიურად, ალბათ, მოიქცევიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სამინისტროები და უწყებები. ვიმედოვნებ, რომ ყოველივე ნათქვამიდან დასკვნებს გამოიტანენ აგრეთვე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიული კომიტეტები.

მუშაკიც არის და მუშაკიც. ჩვენი კადრების უმრავლესობა, უეჭველია, პარტიული, საქმის მცოდნე ადამიანები არიან, რომლებსაც უნარი შესწევთ იმუშაონ, გადაწყვიტონ დასახული ამოცანები, მაგრამ სხვაგვარებიც გვხვდებიან, რამდენიც უნდა ეჩიჩინო მათ, რამდენიც უნდა დაანამუსო, შეახსენო მოვალეობა და პასუხისმგებლობა — არაფერი არ შველის. და აქ უნდა ვიმოქმედოთ უფრო გადაჭრით, გამოვიყენოთ სხვა ზომები, შევცვალოთ ისინი, ვინც თავს ვერ ართმევს დაკისრებულ საქმეს, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ენერგიული, შემოქმედებითად მოაზროვნე, ინიციატივიანი ამხანაგები. **(ხანგრძლივი ტაში).**

საერთოდ, დისციპლინა და წესრიგი ყოველთვის საჭიროა, ხოლო ამჟამად, როცა გიგანტურად გაიზარდა მეურნეობრიობის მასშტაბი, როცა ეკონომიკური კავშირურთიერთობის ქსელი სულ უფრო რთული, ხშირი და განტოტვილი ხდება, ისინი განსაკუთრებით გვჭირდება. და არა მარტო დისციპლინაზე ლაპარაკი. და არა მარტო წესრიგისათვის მოწოდება. უწინარეს ყოვლისა, გვმართებს გულმოდგინე, ყოველდღიური ორგანიზატორული მუშაობა, შესრულების ზუსტი შემოწმება, მოქნილი, გააზრებული საკადრო პოლიტიკა. საჭიროა ოპერატიულად, მწვავედ გამოვეხმაუროთ უყაირათობის გამოვლინებებს, დადგენილი გეგმების, წესებისა და ნორმების დარღვევებს. იმედი მაქვს, რომ საკითხის ასეთ დაყენებას სრული გაგებით და მხარდაჭერით მოეკიდებიან პლენუმის მონაწილენი. **(ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე გათვალისწინებული გვაქვს განვიხილოთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი კანონები — სახალხო კონტროლის, უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის, არბიტრაჟის, ადვოკატურის შესახებ. ეს კანონები, უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. და, მაშასადამე, მათ უშუალო დამოკიდებულება ექნებათ იმ საკითხებთანაც, რომლებზეც დღეს ვბჭობთ. კანონების მტკიცე, განუხრელი შესრულება ხომ მთელი სამეურნეო მექანიზმის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი უცილობელი წანამძღვარია. პარტიული ორგანოების ამოცანა, კომუნისტების ამოცანა ის არის, რომ განმარტონ ახალი კანონების შინაარსი, ღრმა დემოკრატიზმი, აქტიურად შეუწყონ ხელი მათს განხორციელებას, დარაზმონ მასები ყოველგვარი უკანონობის, საბჭოთა სოციალისტური მართლწესრიგისაგან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მინდა საგანგებოდ გავუსვა ხაზი იმ პასუხსაგები ამოცანების მნიშვნელობას, რომლებიც სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე დგას. გათვალისწინებულია ახალ კანონთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს სპეციალური დადგენილება, რათა სახალხო კონტროლს კიდევ უფრო მეტად დაუჭირონ მხარი პარტიულმა ორგანოებმა, რათა სახალხო კონტროლიორთა მთელი მრავალმილიონიანი არმია უფრო აქტიურად ჩაება სამეურნეო მუშაობის დონის ამაღლებისათვის, საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ საერთო ბრძოლაში.

დასასრულ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო მიმდინარე სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესაბამისი **ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობის** ხასიათს.

ამ მუშაობის მთავარი მიმართულებანი:

ეს არის სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი გაჩაღება, მისი ორიენტაცია ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, შემხვედრი გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა;

ეს არის მოწინავე გამოცდილების, მუშაობის იმ მოწინავე ფორმებისა და მეთოდების მხარდაჭერა და გავრცელება, რომლებიც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას;

ეს არის მომჭირნეობის რეჟიმის თანამიმდევრული განხორციელება, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება;

ეს არის შრომის დისციპლინის დარღვევების, დოყლაპიობისა და მოდუნების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრძოლაში მზარდ როლს უნდა ასრულებდნენ შრომითი კოლექტივები და ჩვენც უნდა გავაფართოოთ მათი უფლებები.

მთელი ჩვენი მეცადინეობის თავიდათავი უნდა გახდეს მშრომელთა მობილიზაცია ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებების შესასრულებლად. 1980 წლის გეგმის დავალებანი იოლი როდია. მაგრამ ისინი უნდა შევასრულოთ, მათ უნდა გადავაჭარბოთ. რა არის საჭირო ამისათვის? საჭიროა შეიქმნას მაღალი მომთხოვნელობის, ორგანიზებულობის, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის ვითარება სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, თითოეულ საწარმოო უჯრედში.

ყველას გვესმის, რომ სოციალისტური ეკონომიკა წარმოუდგენელია ცენტრალიზებული საწყისის განუმტკიცებლად. ამასთანავე პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც ჩვენ გვჭირდება დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ფართო გზას უხსნის ქვემოდან მომავალ ინიციატივას — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და გაერთიანებების, ადგილობრივი ორგანოების ინიციატივას. ეს გამომდინარეობს არა მარტო ჩვენი მსოფლმხედველობიდან, არამედ ეკონომიკური საჭიროებიდანაც. ქვემოდან მომავალი ინიციატივა ჩვენი სწორუპოვარი რეზერვია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

ქვეყანაზე, მის ეკონომიკაზე ფიქრობს, მისით სულდგმულობს ათასობით შრომითი კოლექტივი, მილიონობით შეგნებული საბჭოთა მოქალაქე. სოციალისტური სამეურნეო მექანიზმი მოწოდებულია ფართო ღირსეული გზა მისცეს მჩქეფარე ენერგიას და ინიციატივას. სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები პარტიის პრინციპულ მითითებათა სულისკვეთებით — ეს ყველა პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელის მოვალეობაა. ამას მოითხოვს მათგან პარტიის ცენტრალური კომიტეტი. **(ტაში).**

და ბოლოს, მოვუკლოთ, ამხანაგებო, პარადულობას და აურზაურს, მოვუკლოთ იმას, რასაც ვ. ი. ლენინი „პოლიტიკურ ლაყბობას“ უწოდებდა. საბჭოთა ადამიანებთან სჯა-ბაასი უნდა იყოს გულახდილი, სერიოზული, არგუმენტირებული. ამას მოგვიწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. პარტიული პროპაგანდა, პარტიული აგიტაცია უნდა იყოს მაქსიმალურად საგნობრივი, დამაჯერებლად, საქმის ცოდნით უნდა უპასუხებდეს ყველა კითხვას, რომლებიც ადამიანებს აწუხებს. და მაშინ შევძლებთ პარტიული სიტყვა გადავადნოთ შრომითს ენთუზიაზმად, ათეულ მილიონობით კომუნისტისა და უპარტიოს გარჯად. **(ტაში).**

გაისად ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი სრულდება. ამასთან დაკავშირებით მზადდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია მთელი რიგი პოლიტიკურად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მათი საერთო მნიშვნელია გადავაქციოთ 1980 წელი დამკვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად. **(ტაში).** სწორედ ეს უნდა დავუსახოთ მიზნად ყველა პარტიულ კომიტეტს, მთელ მილიონ-ნახევარსავე პირველადს პარტიულ ორგანიზაციასა და პარტიულ ჯგუფს. საბჭოებს, პროფკავშირებს, კომკავშირს, შემოდგომაზე გამართულმა ანგარიშგება-არჩევნებმა კვლავ ცხადყო, რომ პარტია მზად არის ხალხის საკეთილდღეოდ ახალი გამარჯვებებისათვის. ეს არის ჩვენი განუხრელი წინსვლის, ახალი წარმატებებისა და მიღწევების საწინდარი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საერთაშორისო ცხოვრება

## დედამიწის ზურგზე

# გამოხმაურებანი საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკების გამო

**ბონი,** 26 ნოემბერი. აქ კვლავ ფართოდ აშუქებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელების მოლაპარაკების შედეგებს. ოფიციალურ პირთა განცხადებებსა და პრესის ცნობებში ყურადღება ეპყრობა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საბჭოთა კავშირ-დასავლეთ ევროპის ურთიერთობისათვის, ასევე მთელ ევროპაში მდგომარეობის განვითარებისათვის მომენტს, რომელშიც ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა.

პრესას მოჰყავს ციტატები ბონში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის შესახებ საბოლოო დოკუმენტიდან. იგი ხაზს უსვამს, რომ, ორივე მხარის აზრით, დაძაბულობის შენელების პოლიტიკას არა აქვს გონივრული ალტერნატივა და საჭიროა დაჩქარდეს შემდგომ კონსტრუქციულ ღონისძიებათა შემუშავება განიარაღებისა და [illegible] შეიარაღების შეზღუდვის საქმეში. ამასთან დაკავშირებით გაზეთებს მოჰყავთ ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის საკითხებზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისათვის მიმართვა იმას „ნიშნავს, რომ მისამართი შეგვეშალა, რადგან საქმე ეხება ამერიკულ იარაღს". ბევრი მიმომხილველის აზრით, ჰ. შმიდტის ეს სიტყვები იმის დასტურია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს თავს მოახვიოს დასავლეთევროპელ მოკავშირეებს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ფაქტობრივად ხელს შეუშლის დასავლეთ ევროპის ქვეყნებს განახორციელონ საკუთარი პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა დაძაბულობის შენელების დარგში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აქვეყნებენ საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ. დ. გენშერის გამოსვლას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მან მხარი დაუჭირა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისეთ მოლაპარაკებას, „რომელიც დამძიმებული არ იქნება რაიმე წინასწარი პირობებით". როგორც მან განაცხადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა „მზად არის ყველაფერზე ილაპარაკოს". მაგრამ, მეორე ინტერვიუში, ჰ. დ. გენშერმა დააზუსტა, „მოლაპარაკება მყისვე დაიწყება როგორც კი ნატო „დამატებითი შეიარაღების" გადაწყვეტილებას მიიღებსო". ამ ორი გამოსვლის შედარება ცხადყოფს, რომ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის გადაწყვეტილება გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერების შესახებ მოლაპარაკების დაწყების ერთგვარ პირობად არის მიღებული. გარდა ამისა, აღინიშნა ბონში გამართულ პრესკონფერენციაზე ა. ა. გრომიკომ, ამგვარი გადაწყვეტილება ძირს გამოუთხრიდა მოლაპარაკებას.

გვატყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

# ძველი თეზისით

**ჰანოი,** 27 ნოემბერი. ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკებამ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია წინ იმ მიზეზით, რომ ჩინეთის მხარე მოლაპარაკებას იყენებს როგორც საფარს ომის მოსამზადებლად, აღნიშნულია ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ **„ნიან ზანის"** სარედაქციო სტატიაში, რომელიც კომენტარს უძღვნის პეკინში წარმოებული მოლაპარაკების მეორე ტურის მორიგი სხდომის შედეგებს.

ჩინეთის მხარემ, აღნიშნავს გაზეთი, კვლავ წამოაყენა თავისი ძველი თეზისი კამპუჩიაში „ვიეტნამის აგრესიისა" და „საზღვარზე ვიეტნამის პროვოკაციების" შესახებ. ჩინეთის მმართველი წრეები ცდილობენ კამპუჩიაში არსებული მდგომარეობის საკითხი დაუკავშირონ ვიეტნამ-ჩინეთის საზღვრის საკითხს და ვიეტნამს დააკისრონ პასუხისმგებლობა მათ მიერ შექმნილი დაძაბულობისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარზე.

# „ვეფხისტყაოსანი" — მონღოლეთში

**ულან-ბატორის** გაერთიანებული კლინიკური საავადმყოფოს კონსულტანტად მომუშავე თბილისელი ექიმის თამაზ თოფურიას ყურადღება ქალაქის პატარა წიგნის მაღაზიაში ერთი წიგნის ყდაზე გამოსახულმა ნაცნობმა სილუეტმა მიიპყრო. ეს წიგნი შოთა რუსთაველის მე-800 წლისთავის გამო ულან-ბატორში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი" იყო. ქართველი ექიმი დაინტერესდა მთარგმნელის ვინაობით და მონღოლი მეგობრების დახმარებით დაადგინა, რომ „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელი, 32 წლის პოეტი დ. გომბოჟი საავტომობილო კატასტროფის დროს დაიღუპა, როცა ბავშვის გადარჩენას ცდილობდა.

ულან-ბატორიდან 30 კილომეტრზე განისვენებს პოეტის ნეშტი, რომელმაც საქართველოს აღტაცებული სტრიქონები უძღვნა. ერთ-ერთ ლექსში „რატომ მიყვარს საქართველო?" პოეტი წერდა: „შეუძლებელია არ გიყვარდეს ის მიწა, ის ხალხი, სადაც ადამიანის გონების ბრწყინვალე ქმნილება — რუსთაველის უკვდავი პოემა იშვა". იმ ადამიანისადმი უდიდესი მადლიერების ნიშნად, რომელმაც თავისი ხალხის კუთვნილებად აქცია ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მქადაგებლის უკვდავი იდეები, მის საფლავს საქართველოდან ჩამოტანილი ერთი მუჭა ქართული მიწა მოაყარეს. ასე მიეცა დასაბამი ტრადიციას — ყოველ ოქტომბერს შეიკრიბონ პოეტისა და მთარგმნელის საფლავზე.

ახლახან საქართველოში თამაზ თოფურიასთან სტუმრად ჩამოვიდა მისი მონღოლი კოლეგა — დოქტორი ოჩირსუხი. მან მეგობარს ჩამოუტანა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების სია, რომლებიც მონღოლურ ენაზე ითარგმნა და სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მონღოლეთის კრებულებსა და პერიოდულ პრესაში. ამ სიაში შედის ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და სხვა მწერლების ნაწარმოებები. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**რესპუბლიკის** ქიმიის მეცნიერებისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი,
1979 წლის 26 ნოემბერი.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**მელიორაციის** მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და სარწყავი მიწათმოქმედების აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი,
1979 წლის 26 ნოემბერი.

# ამერიკა-ირანის ურთიერთობის გამო

**ვაშინგტონი,** 27 ნოემბერი. შეერთებულ შტატებში კვლავ ისმის მოწოდებანი გაამკაცრონ პოზიცია ირანის მიმართ. ტელევიზიით გამოსვლისას სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ ჯ. ბოლმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია „სადამსჯელო აქცია" მოიმოქმედოს ამ ქვეყნის წინააღმდეგ. როგორც მან თქვა, ასეთ აქციას არც თეირანში დატყვევებული ამერიკელი მძევლების განთავისუფლების შემდეგ გამოიცხავს. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ სიძნელეებს ჯ. ბოლი აბრალებს „ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰ. კისინჯერს და ზოგიერთ სხვას", რომლებმაც მისი თქმით, „ყველაფერი იღონეს, რათა ყოფილი შაჰისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოსვლის ნება მიეცათ".

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, ამერიკის ავიამზიდი „კიტი ჰოკი" კვირის დამდეგს ირანის ნაპირებს მიადგება. სპარსეთის ყურეშია უკვე ავიამზიდი „მიდუეი", იქით მიეშურება აგრეთვე, იტალიის პრესის ცნობით, კიდევ ერთი ავიამზიდი — „ნიმიცი".

**ნიუ-იორკი,** 27 ნოემბერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვს დაუყოვნებლივ მოიწვიოს უშიშროების საბჭო, რათა განიხილონ „შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობაში შექმნილი კრიზისული სიტუაცია".

**თეირანი,** 27 ნოემბერი. ირანის დედაქალაქში, აგრეთვე პრაქტიკულად ქვეყნის ყველა სხვა ქალაქში მიმდინარეობს მიტინგები და დემონსტრაციები ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით, რომლებშიც ასიათასობით კაცი მონაწილეობს.

დღეს თეირანის რადიომ გადმოსცა აიათოლა ხომეინის გამოსვლა, რომელმაც ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს მოუწოდა მზად იყვნენ შეერთებულ შტატებთან „საღვთო ომისათვის". ჩვენ, თქვა ხომეინიმ, მთელი ირანელი ხალხი უნდა დავრაზმოთ მის წინააღმდეგ საბრძოლველად. აიათოლა ხომეინიმ წინადადება წამოაყენა დაიწყონ 20 მილიონი ახალგაზრდა ირანელის სამხედრო მზადება ომის შემთხვევისათვის.

როგორც აქ აღნიშნავენ, ირან-ამერიკის კონფლიქტის მთავარი პრობლემაა შეერთებული შტატების მიერ დამხობილი შაჰის და მისი ნაძარცვის გადაცემა ირანელი ხალხისათვის.

**პარიზი,** 27 ნოემბერი. თეთრ სახლს დიდი შეცდომა მოუვიდა, როცა ირანს სამხედრო ჩარევით დაემუქრა, — წერს გაზეთი „მატენი", განმარტავს რა ამერიკა-ირანის კრიზისის განვითარებას. „ამ მუქარამ მხოლოდ გააღვივა შეერთებული შტატებისადმი სიძულვილი და გაამწვავა კონფლიქტი ნაცვლად იმისა, რომ ირანი შეეშინებინა".

## ხვალ, 29 ნოემბერს იუგოსლავიის ეროვნული დღესასწაულია





1945 წლის 29 ნოემბერს დამფუძნებელმა სკუპშჩინამ იუგოსლავია ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა. ამ ისტორიული აქტით იუგოსლავიის მიწა-წყალზე დამკვიდრდა სახალხო ხელისუფლება, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის წლებში იშვა. ომის დამთავრების პირველი დღეებიდანვე იუგოსლავიაში დაიწყეს ომისაგან გაპარტახებული მეურნეობის აღდგენა. საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლათა ქარ-ცეცხლში იწრთობოდა და მტკიცდებოდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო მეგობრობა.

**სურათებზე:** ზემოთ — პანჩევოს ნავთობქიმიური ქარხანა; ქვემოთ — საკავშირო სკუპშჩინის (პარლამენტის) შენობა ბელგრადის რესპუბლიკის სახელობის ბულვარში. აქ 1945 წლის 29 ნოემბერს იუგოსლავია სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა.

ტანიუგ-საქდესის ფოტო.

ქართული წიგნი

350

# გულისა და გონების საგანძური

**1629 წელი...** ღირსშესანიშნავია ეს თარიღი. სწორედ ამ წელს, ზუსტად სამი საუკუნე-ნახევრის წინათ, დაიბადა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი...

ჩვენი ეპოქის, ჩვენი წყობილების უდიდესი მონაპოვარია, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობას განათლების დონით მსოფლიოს მოწინავე ხალხთა გვერდით ასახელებენ; რომ ჩვენში კულტურა და წიგნიერება მაღალ საფეხურზეა, რომ ქართველი ხალხის წიგნიერებას უძველესი ტრადიციები აქვს....

საქართველო მსოფლიოს იმ ცივილიზებულ ქვეყანათა რიცხვშია, თავისი ძველთაძველი კულტურით რომ ამაყობენ. ქართული ენაც მსოფლიოს იმ ცამეტ ენათა შორისაა, საკუთარი დამოუკიდებელი დამწერლობა რომ აქვს. თანაც ქართული დამწერლობა სათავეს იღებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნიდან.

წიგნის ბეჭდვა ევროპაში XV საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება და დაკავშირებულია გერმანელ იოჰან გუტენბერგის სახელთან. აქედან მოკიდებული წიგნის ბეჭდვის საქმე მთელ მსოფლიოში ვითარდება. ასე მოხდა საქართველოშიც. მაგრამ მანამდეც ისე, როგორც მსოფლიოს ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში, ჩვენშიც არსებობდა ხელით გადაწერილი წიგნები.

წიგნის ისტორიული ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული დამწერლობის შექმნის პროცესთან. ბევრმა წიგნმა ჩვენამდე ხელნაწერის სახით მოაღწია. მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ძველ საქართველოში წიგნის გადამწერლის ხელობას. ისტორიამ დღემდე შემოგვინახა ძველი ქართველი კალიგრაფების სახელები, რომელთა წყალობითაც არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შემოინახა.

ევროპაში XV საუკუნეში დაწყებული წიგნის ბეჭდვის საქმე ჩვენამდე საკმაოდ მოგვიანებით მოვიდა. ამ დაგვიანების მიზეზი XV-XVI საუკუნეების საქართველოს ძნელბედობა იყო. მომხდური მტრის თარეშის თუ შინაკლასობრივი ბრძოლების გამო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითებულ ქვეყანას კულტურულადაც უჭირდა წელში გამართვა.

1629 წელი... სამას ორმოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. საგულისხმოა, რომ ეს წიგნი გამოვიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ — რომში. კათოლიკური ეკლესიის ცენტრში ქართული წიგნის გამოსვლას თავისი წანამძღვრები ჰქონდა.

საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობა კათოლიკურ სამყაროსთან XIII საუკუნიდან დაიწყო, როცა ჯვაროსნული ომების წყალობით რომის პაპი საქართველოთი დაინტერესდა. და, პირიქით, ქართველი მეფეებიც ცდილობდნენ მასთან დაახლოებას. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა საქართველოს მეფის რუსუდანისა და რომის პაპის ჰონორიუს მესამის ურთიერთობა.

საქართველოს მეფეებსა და პაპებს შორის ურთიერთობა შემდგომშიც გრძელდებოდა. როგორც ჩანს, რომის პაპების ხელდასხმით ფართოდ გავრცელებულა კათოლიკეთა სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში. კათოლიკე მისიონერები ძველთაგანვე იყვნენ მიღებული თბილისში, გორსა და ქუთაისში, სადაც მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ და საქართველოს მეფეებიც მფარველობდნენ. სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოში განსაკუთრებული ინტენსიურობით წარმოებს XVII საუკუნიდან. ამავე ხანიდან ვატიკანში დაარსდა საგანგებო დაწესებულება — კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაცია, რომელსაც ევალებოდა კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდა და დანიშნულებისამებრ მისი წევრებისათვის შეესწავლებინათ იმ ერის ენა, სადაც ისინი იქნებოდნენ გაწესებულნი.

ამ დაწესებულებამ (კონგრეგაციამ), სხვათა შორის, დაიწყო საქართველოში წარსაგზავნი მისიონერების მომზადება და ქართული ენის კათედრაც დააარსა. ასე რომ, დღის წესრიგში დადგა ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა. თვით მისიონერებიც მოითხოვენ ქართული ენის სახელმძღვანელოთა შედგენასა და დაბეჭდვას. ამ გარემოებას ისიც დაემთხვა, რომ რომში ჩავიდა თეიმურაზ პირველის ელჩი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (იგივე ნიკიფორე ირბახი), მიიღო რომის პაპის მიერ შეთავაზებული კათოლიკური სარწმუნოება და ამის შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო დიდხანს შერჩა რომში. სწორედ ამ პერიოდში არგუნა ბედმა მას წვლილი შეეტანა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოცემაში. დიახ, ვატიკანის საგანგებო კონგრეგაციაში მომწიფებული ქართული სტამბის დაარსების საკითხი განსწავლული ქართველის ჩასვლამ რეალური გახადა.

ქართული ანბანის ჩამოსხმა და ქართული წიგნის დაბეჭდვა, ბუნებრივია, მოითხოვდა ქართულის კარგ მცოდნეს, და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმაც არ დააყოვნა. წიგნის მომზადებაში თავისი უშუალო მონაწილეობის გარდა, ქართული შეასწავლა სტეფანე პაოლინის — შემდგომში ქართულ-იტალიური ლექსიკონის უშუალო შემდგენელს... და აი, რომში იბეჭდება პირველი ქართული წიგნი... ეს არის პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული ნაშრომი **ქართულ-იტალიური ლექსიკონი.** იგი 3086 ტერმინს შეიცავდა და ემსახურებოდა საქართველოთი დაინტერესებულ ქართული ენის შემსწავლელ იტალიელ მისიონერებს. წიგნის თავფურცელზე არის ასეთი იტალიური წარწერა: ქართულ-იტალიური ლექსიკონი, სტეფანე პაოლინის შედგენილი. ქართველის, წმინდა ბასილის წესის ბერის ნიკიფორე ირბახის დახმარებით. სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა სახმარებლად. რომი... 1629 წ.

ზედმეტია ლაპარაკი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის მნიშვნელობაზე. მან დასაბამი მისცა შემდგომში ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს. რომში იმავე 1629 წელს გამოდის ქართული ანბანი ლოცვებითურთ (წიგნი კვლავაც კონგრეგაციის სტამბამ დაბეჭდა). მესამე ქართული წიგნიც იმავე საზოგადოებამ გამოსცა რომში 1643 წელს. ეს არის ქართული ენის გრამატიკა, რომელიც ლათინურ ენაზე შეადგინა მისიონერმა ფრანცისკო მარია მაჯიომ. მაჯიო საქართველოში 1637 წელს ჩამოსულა. ერთი წელი გორში უცხოვრია, შემდეგ კი გურიაში წასულა და იქაც სამი-ოთხი წელი დაუყვია. ეს დრო, რასაკვირველია, არ არის საკმარისი ქართული ენის ისე საფუძვლიანი და ღრმა შესწავლისათვის, რომ უნაკლო გრამატიკა შექმნილიყო, მაგრამ თავისთავად წიგნის გამოცემის ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. მაჯიოს „გრამატიკა" ქართული ენის დღემდე ცნობილი პირველი გრამატიკაა. მეოთხე ქართული წიგნი 1681 წელს დაიბეჭდა რომში. ეს იყო ქართულად თარგმნილი „კატეხიზმო".

შემდეგი ქართული წიგნი 1741 წელს დაიბეჭდა რომში. წიგნი მოამზადა გორელმა კათოლიკემ დავით ტლუკაშვილმა. საქმე ის არის, რომ კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის უწყება მხოლოდ თვითონ კი არ გზავნიდა მისიონერებს სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ცდილობდა თვით ადგილობრივი მოსახლეობაც მოემზადებინა აღნიშნული სამსახურისათვის (კათოლიკობის საქადაგებლად). ამ მიზნით პაპმა ურბან მერვემ რომში დააარსა სათანადო კოლეგია, სადაც ორი ადგილი განკუთვნილი იყო ქართველებისათვის. აქ მოსწავლე ქართველი კათოლიკეები მალე საქართველოში პაპის მიზნების განმხორციელებლები გახდნენ. 1723 წელს ეს კურსი დაამთავრა დავით ტლუკაშვილმა, მღვდლად ეკურთხა და რომში დარჩა. სწორედ მან თარგმნა საქრისტიანო მოძღვრება და უზრუნველყო მისი გამოცემა. იმავე 1741 წელს კიდევ ერთი პატარა წიგნი დაიბეჭდა: „საქრისტიანო მოძღუარება, მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის ზეპირად დასასწავლებლად".

ამრიგად, როგორც ვნახეთ, პირველი ქართული წიგნები რომში გარკვეული მიზნით დაიბეჭდა. ობიექტურად ამ ფაქტმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარებაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **მოსკოვში გამართული ქართული სტამბა,** რომელიც იმერეთის მეფის არჩილის სახელთან არის დაკავშირებული. არჩილი იმერეთის სამეფოში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო XVII საუკუნის მიწურულს ტოვებს სამშობლოს და რუსეთს აფარებს თავს, სახლდება მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატსკოეში და ფართო მასშტაბის კულტურულ მოღვაწეობას ეწევა. მან მოახერხა პეტრე პირველისაგან ქართული საეკლესიო წიგნების დაბეჭდვის ნებართვა მიეღო. შემდეგ მოსკოვის სახაზინო სტამბაში ჩამოასხმევინა ქართული (ხუცური) შრიფტი და 1705 წ. „დავითნი" გამოსცა. არჩილ მეფეს განზრახული ჰქონია „დაბადების" დაბეჭდვა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოახერხა და ისე გარდაიცვალა (1713 წ.), რომ სურვილი ვერ აისრულა. მოსკოვში კი კვლავ გრძელდებოდა ქართული წიგნების ბეჭდვა...

ქართული კულტურის ჭეშმარიტი ზეიმი იყო თბილისში სტამბის დაარსება და ბეჭდვის საქმის მოგვარება. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა უშუალოდ არის დაკავშირებული ვახტანგ VI ჯანიშინობის (1703-1712 წწ.) პერიოდთან, როცა ქართლის ეკონომიკური და კულტურული აღორძინება დაიწყო.

ქართული კულტურის დაწინაურების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად ვახტანგ VI ქართული სტამბის გამართვა მიაჩნდა. მისი ვარაუდით, წიგნის ბეჭდვას სისტემატური ხასიათი უნდა მისცემოდა. ამ მიზნით მან ფართო საქმიანობა გააჩაღა. რუმინეთში მოღვაწე სახელოვანი ქართველი მესტამბის ანთიმ ივერიელის დახმარებით ვახტანგ VI „მოიღო სტამბა ვლახეთით", მოიწვია სტამბის დახელოვნებული ოსტატი მიხაილ იშტვანოვიჩი და 1709 წელს თბილისში დაარსებულ ქართულ სტამბაში პირველად




დაიბეჭდა ქართული წიგნი „სახარება". თბილისის სტამბაში ორი ათეული წიგნი დაიბეჭდა. ძირითადად ეს იყო „სწავლულ კაცთა" მიერ მომზადებული საეკლესიო წიგნები („დავითნი" — 1712 წ., „კურთხევანი" — 1713 წ., „ჟამნი" — 1717 წ., „ლოცვანი" — 1717 წ., „წესი ეკლესიის კურთხევისა" — 1719 წ., „პარაკლიტონი" — 1720 წ. და სხვ.), სულხან-საბა ორბელიანის ხელმძღვანელობით მუშავდებოდა და დასაბეჭდად მზადდებოდა „ბიბლიის" სრული ტექსტი ქართულად, მაგრამ მისი დაბეჭდვა ქართლში პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო ვერ მოხერხდა.

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში საეტაპო მოვლენა იყო 1712 წელს ვახტანგ VI-ის მიერ დადგენილი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დაბეჭდვა, ვახტანგისავე კომენტარებითა და ლექსიკონით. ამ გამოცემით ვახტანგ VI-მ საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის უკვდავი პოემის მეცნიერულ შესწავლას.

ქვეყანაში მდგომარეობის გართულების გამო ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთს წასულიყო. საქართველოში კი მისი წამოწყებული წიგნის ბეჭდვის საქმე ერთხანს მინელდა. ვახტანგისეული სტამბა მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აღდგა და განახლდა. როგორც ჩანს, ამ საქმისათვის დიდი ღვაწლი დაუდვია ერეკლე II-ს. აღდგენილ სტამბაში 1751 წელს დაბეჭდილ „სამოთხე მსახურებაში" აღნიშნულია: „ბრძანებითა ქართლის მეფის თეიმურაზისათა და ძისა მათისა კახთ მეფის ირაკლისათა, კურთხევითა სრულიად საქართველოს პატრიარქისა ანტონისათა, დაიბეჭდა წიგნი ესე „სამოთხე მსახურება". აქვე ნათქვამია, რომ ერეკლე მეორემ განაახლა ბეჭდვა „საფასეთა წარსაგებლითა". 1764 წელს დაიბეჭდა „კურთხევანი", რომელსაც დართული ჰქონდა ანტონ კათალიკოსის ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი აკროსტიხი („ირაკლი მეფე საქართველოისა"), სადაც ნათქვამია „ორგზის მაახლი წიგნთა საბეჭდავისა". აქ სწორედ ერეკლეს იმ დიდ დამსახურებაზეა ლაპარაკი, რომელიც მას წიგნის ბეჭდვის განვითარების საქმეში მიუძღოდა. 1781 წელს ერეკლე მეორეს კვლავ განუახლებია სტამბა, რომელიც 1795 წ. აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს მტერმა აიკლო და გაანადგურა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შემდგომ 1804 წლისათვის განახლდა სტამბა. 1805 წელს გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო სტამბა, რომელიც 1810 წელს გადაეცა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს, ეს კი შემდგომში სამხედრო სტამბად გადაკეთდა. ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა მთავარმართებლის სტამბას.

მეცხრამეტე საუკუნეში სასტამბო საქმიანობამ ფართო ხასიათი მიიღო. 1819 წელს პირველი ქართული გაზეთი დაიბეჭდა „საქართველოს გაზეთის" სახელწოდებით. 1828 წელს რუსეთში მყოფი ბერის ივანე ხელაშვილის მატერიალური ხელშეწყობით სოლომონ დოდაშვილმა ქართული სტამბა გახსნა თბილისში.

1850 წელს სტამბა გახსნა გიორგი ერისთავმა, სადაც დაიწყო ჟურნალ „ცისკრის" გამოცემა (1852 წლიდან). სტამბამ 1854 წლამდე იარსება. 1856 წელს თბილისში ივანე კერესელიძემ ახალი სტამბა გახსნა, განაახლა „ცისკრის" გამოცემა, თან სხვა წიგნებსაც ბეჭდავდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველომ ბევრი სხვა სტამბაც იცის.

ახლა, როცა ქართული ნაბეჭდი წიგნი სამ საუკუნე-ნახევრისაა, მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ქართველი მესტამბეები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს წიგნის ბეჭდვის საქმეს ჩვენში. სტეფანე პაოლინისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან, მარიო მაჯიოსა და მიხაილ იშტვანოვიჩთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ იოსებ მესხიევი და ქრისტეფორე კეჟერაშვილი, დავით კეჟერაშვილი და რომანოზ ზუბაშვილი, ნიკოლოზ ორბელიანი და ქრისტეფორე გურამიშვილი, იოსებ სამებელი და მელქისედეკ კავკასიძე, ათანასე ამილახვარი და რომანოზ რაზმაძე და კიდევ ბევრი სხვა, ვინც თავისი თავდადებული შრომა-მოღვაწეობით ნაბეჭდ წიგნებს აწვდიდა ქართველ მოსახლეობას.

...ასე აიძრა, აზვირთდა და გაფართოვდა წიგნის ხელოვნება ჩვენს ქვეყანაში.

მრავალი სიახლითა და დიდი ძვრებით შემოვიდა XX საუკუნე საქართველოში. ქართველი ხალხიც ამ სიახლეთა ფერხულში ჩაება. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისი მძლავრი ნაბიჯების ძალა კავკასიასაც აგრძნობინა. 1921 წლის თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მოკიდებული ახალი აღორძინება იწყო წიგნის გამოცემის საქმემ. დღეს საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა წიგნის ხელოვნებაში. მრავალი საინტერესო და მაღალხარისხოვანი გამოცემით არაერთხელ აალაპარაკა საერთაშორისო საზოგადოებრიობა ჩვენმა რესპუბლიკამ. წიგნების გამოცემის რაოდენობამ და ტირაჟმა ხომ არნახულ დონეს მიაღწია, დონეს, რომელზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ ჩვენს წინაპრებს. და სწორედ ახლა, ქართული კულტურის ესოდენ მაღალი განვითარებისა და აყვავების დროს, გონების თვალს ვავლებთ რა წარსულს — ქართული წიგნის აღმოცენება-განვითარების გზას, ვამბობთ, რომ საქართველოში წიგნის ხელოვნების არნახულად მაღალი დონე უზრუნველყო განათლებასა და კულტურაზე სახელმწიფოს განუხრელმა ზრუნვამ, განაპირობა იმ სამასორმოცდაათწლოვანმა ტრადიციებმა, რომლებმაც ათასხუთასწლოვანი დამწერლობიანი ლიტერატურა ბეჭდვის ჩარჩოებში მოაქცია, ღვაწლი დასდო იმ პირველმა წიგნმაც, რომელიც რომში დაიბეჭდა.

ქართული წიგნი იუბილარია... ვფიქრობთ, ეს დიდი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში და იგი სათანადოდაც უნდა აღინიშნოს.

**როინ მეტრეველი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## დანაშაულის კვალდაკვალ

# ათობით მოწმის თვალწინ

გვესაუბრება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი

**ო. ქოჩლაძე**

**ყოველწლიურად** დამატებით ასობით კეთილმოწყობილ ბინას ავაშენებდით, მთლიანად რომ აღმოგვეფხვრა სოციალისტური საკუთრების წვრილმანი დატაცებანი, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა ო. ქოჩლაძემ. — რაც შეეხება ამით გამოწვეულ მორალურ და სოციალურ ზარალს, ამის წარმოდგენა კიდევ უფრო ძნელია.

— „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს მკაცრი წესრიგი დავამყაროთ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა-შენახვაში, მუშაობა გააუმჯობესოს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლმა მილიციის სამსახურმა, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე დატაცების აღკვეთას.

სოციალისტური საკუთრების დატაცების თავიდან აცილება და აღკვეთა საშუალებას მოგვცემს გადავარჩინოთ არა მარტო სახალხო დოვლათი, არამედ ადამიანიც. წვრილმანი დატაცებიდან დიდ დატაცებამდე ხომ არცთუ დიდი მანძილია.

**— რამდენად ეფექტიანია დატაცების თავიდან აცილებისათვის მუშაობა, შეიძლება თუ არა მისი ციფრებით გამოხატვა?**

— სტატისტიკამ, როგორც ამბობენ, ყველაფერი იცის. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: მარნეულის რაიონის მეცხოველეობის ფერმებში ხუთი დღის განმავლობაში გაძლიერებით ვაკონტროლებდით საკვების გაცემას, წონისა და ხარისხის მიხედვით რძის მიღებას. და რა მოხდა? დადგინდა, რომ ამ მეურნეობებში დროის ამ მონაკვეთში წველადობა 4-5-ჯერ გაიზარდა, გაუმჯობესდა რძის ხარისხიც.

კიდევ ერთი მაგალითი: კოდის მეფრინველეობის ფაბრიკაში კონტროლის გაძლიერების შედეგად მკვეთრად გაიზარდა ქათმის ხორცისა და კვერცხის წარმოება-რეალიზაცია. მაგალითად, თუ შემოწმებამდე ქათმის ხორცის რეალიზაცია დღეში საშუალოდ 4100 კილოგრამს შეადგენდა, შემოწმების პერიოდში იგი 8400 კილოგრამამდე გაიზარდა, შესაბამისად კვერცხის რეალიზაცია 2380-დან 18360 ცალამდე გაიზარდა.

**— რა ხდება? ლაპარაკია წვრილმან დატაცებაზე, აქ კი ასეთი დიდი ციფრებია?**

— მექანიკა აქ ძალზე მარტივია: ერთმა ჩანთაში დამალა ათიოდე კვერცხი, მეორემ წყვილი წიწილა გააყოლა ხელს, მესამემ რძით აივსო პატარა ბიდონი, ყველა დამტაცებელი თავს ერთნაირად იმართლებს: აქაოდა, ასეთი წვრილმანი არც საბჭოთა მეურნეობას გააღარიბებს და არც ფაბრიკას, არადა ასობით წვრილმანი დატაცება შემდეგ ერთ დიდ დატაცებად გადაიქცევა.

**— გაქვთ თუ არა განზოგადებული მონაცემები, რომლებიც სოციალისტური საკუთრების დატაცების თავიდან აცილებელ ღონისძიებათა ეფექტიანობას ადასტურებდეს?**

— აი, თუ გნებავთ, განზოგადებული ციფრი: სამოცდაათი ათასამდე მანეთი დაუზოგეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მუშაკებმა.

**— ბევრია ეს თუ ცოტა?**

— ამას მოკლედ ვერ უპასუხებ. ყოველ ამ ციფრში ასახულია არა მარტო დაზოგილი დოვლათის ღირებულება, არამედ, ვიმეორებ, ადამიანის ბედიც. ზოგიერთი მოქალაქე გულუბრყვილოდ ფიქრობს, სახალხო დოვლათის დატაცებასთან ბრძოლა მილიციის მუშაკთა პრეროგატივაა და მასში ყოველგვარი ჩარევა ზედმეტიაო. თუმცა ეს „გულუბრყვილობა" არ გეგონოთ უწყინარი იყოს. ეს უფრო სოციალური გულგრილობის „ვირუსია". ასეთ მოქალაქეებს არ ესირცხვილებათ დროსტარება იმათთან, ვისი არმად ნაშოვნი ფულითაც წრეგადასული ქეიფები იმართება ხოლმე, არ ესირცხვილებათ იმეგობრონ „საქმოსნებთან", და საერთოდ თავი ისე უჭირავთ, აქაოდა განსაკუთრებული არაფერი ხდებაო. გაუგებარი ლოგიკაა: ახლოს არ იკარებენ სხვის ჯიბეში მოფათურე ქურდს, კაცს კი, რომელიც სახელმწიფოს უძვრება ჯიბეში, სტუმრად ეპატიჟებიან.

ხანდახან, და არცთუ ისე იშვიათად, სახალხო დოვლათის დატაცება, როგორი უცნაურიც უნდა იყოს ეს, ბნელი ღამით კი არ ხდება, არამედ დღისით-მზისით, პატიოსანი ხალხის თვალწინ. საუბედუროდ, მრავალი მათგანი, ვის თვალწინაც ისაკუთრებენ სახალხო დოვლათს, თვალსაც არ დაახამხამებს, განგაშს არ ატეხს, არ აცნობებს ვისაც ჯერ არს. გულგრილი მეთვალყურის ობივატელური პოზიცია ძვირად უჯდება სახელმწიფოს, ხალხს, ყველა ჩვენგანს.

მაგალითად, აქამდე ვერ აღვკვეთეთ წვრილმანი დატაცებანი საწარმოო გაერთიანების „თბილისთამბაქოს" საწარმოებში, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ბევრ საწარმოში. აქ კი ველარ იტყვი, დატაცება საიდუმლოდ ხდებაო და განსაკუთრებით ძნელდება მისი გამომჟღავნება, აღკვეთა, თავიდან აცილება. უბრალოდ შესუსტებულია კონტროლი, თავისი გააქვს სტერეოტიპულ შეგნებას — ამაზე პასუხი მილიციამ აგოსო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს ადამიანთა ზნეობრივი აღზრდისათვის, ახალი ძალით გაჩაღდა ანტისაზოგადოებრივ, ნეგატიურ მოვლენებთან, წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლა. ამასთანავე პლენუმზე ხაზი გაუსვეს, რომ კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე გვმართებს ცხოვრების ნორმებისაგან გადახვევის ყოველი გამოვლინების დროს.

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს პროფილაქტიკამ. მის წარმატებას კი განსაზღვრავს მოქალაქეთა შეგნების დონე, ყველა შრომით კოლექტივში იმათდამი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნა, ვინც ხელყოფს სახალხო დოვლათს, ბრძოლა კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან, მომხვეჭელობის გამოვლინებებთან. (საქინფორმი).

# პრიზები, პრიზები...



„საუკეთესო მეკარეს" გადაეცემა თბილისის დინამოელ **ოთარ გაბელიას**. გაბელიამ განსაკუთრებით წლევანდელ სეზონში ისახელა თავი და აკი დაეუფლა კიდეც მეკარეთათვის ამ სანუკვარ ჯილდოს. გთავაზობთ ოთარ გაბელიას სავიზიტო ბარათს: იგი დაიბადა 1953 წლის 24 მარტს. სწავლობს სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. ფეხბურთის თამაში დაიწყო 1963 წელს ზუგდიდში. მისი პირველი მწვრთნელი იყო ვ. ბუკია. სხვადასხვა დროს თამაშობდა ზუგდიდის „დინამოში", სოხუმის „დინამოში" და ქუთაისის „ტორპედოში". თბილისის „დინამოში" 1977 წლიდან თამაშობს. მისი სიმაღლეა 177 სანტიმეტრი, წონა — 75 კილოგრამი.

**წლევანდელი** საფეხბურთო სეზონის შედეგების მიხედვით მეტი წილი პრიზები „სპარტაკს" გადაეცემა. **სპარტაკელები** მიიღებენ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის მიერ დაწესებულ **გ. ფედოტოვის სახელობის** პრიზს (ყველაზე მეტი გატანილი ბურთისათვის: 66 — თამაშში საშუალოდ 1,94); **ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის" ჯილდოს** (სამი და უფრო მეტი ბურთის სხვაობით მოგებისათვის. მათ 6 ასეთი გამარჯვება აქვთ), უკრაინის გაზეთ **„კომსომოლსკოე ზნამიას"** (სტუმრად ყველაზე მეტი ქულის დაგროვებისათვის, 34 შესაძლებლობიდან 23 ქულა), უკრაინის ჟურნალ **„სტარტის"** (გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობისათვის, პლუს 41) და **სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის** (ჩემპიონატში ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობებით ყველაზე მეტი ქულებისათვის — 50+43 ქულა) პრიზებს.

**კიევის დინამოელები** მიიღებენ გაზეთ **„სოვეტსკაია როსიას"** პრიზს „გამარჯვებისადმი სწრაფვისათვის" (კიეველები ოთხჯერ აგებდნენ და ოთხჯერვე შეძლეს გამარჯვების მოპოვება).

**თბილისის დინამოელები** დაჯილდოვდებიან ყოველკვირეული **„სპორტივნაია მოსკვას"** პრიზით — „ავტორიტეტების რისხვა". თბილისელებმა ყველაზე საუკეთესო შედეგები მოიპოვეს წლევანდელ პრიზიორებთან მატჩებში.

ჟურნალ **„ოგონიოკის"** პრიზი „საუკეთესო მეკარეს" ...

საუკეთესო ბომბარდირია **ვ. სტარუხინი** („შახტიორი") — 26 ბურთი. იგი მიიღებს გაზეთ **„ტრუდის"** პრიზს.

ჟურნალ **„ჩელოვეკ ი ზაკონის"** პრიზი ყველაზე კორექტული თამაშისათვის გადაეცემა „ზარიას" (გუნდმა სეზონში მხოლოდ 1 გაფრთხილება მიიღო). დუბლიორთა შემადგენლობით პირველი ადგილის მოპოვებისათვის **საკავშირო სპორტკომიტეტის** პრიზს მიიღებს **ცსკა.** კიევის გაზეთ **„რაბოჩაია გაზეტას"** ჯილდო — „პროგრესის თასი" წილად ხვდათ **მინსკის დინამოელებს** (უმაღლეს ლიგაში ახლად დაბრუნებულებმა მეექვსე ადგილის დაკავება შეძლეს). და ბოლოს, **პროფკავშირთა საზოგადოებების ფეხბურთის ფედერაციის პრიზს** „გუნდთან ერთად" მიიღებენ **„ჩერნომორეცი"** და **ოდესის ცენტრალური სტადიონი.**

* * *

**სურათზე:** ჟურნალ „ოგონიოკის" პრიზის მფლობელი ოთარ გაბელია.

## გმირის სახელობისა

**ცხინვალში** დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება კრივში სსრ კავშირის ორგზის გმირის ი. პლიევის პრიზებზე. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ლ. პახომოვი (აშხაბადი), ვ. რივკინი (დონეცკი), ვ. კულიკი (ნალჩიკი), ხ. გაინმაზოვი (უფა), ტ. კოჩიევი (ცხინვალი), ს. სკორიხი (დონეცკი), ა. კრავჩენკო (აშხაბადი), ბ. მამულაშვილი (რუსთავი), ვ. პერერვა (დონეცკი), ვ. ძუშნარევი (ბლაგოვეშჩენსკი) და დ. კოკოევი (ცხინვალი).

## სპორტი

## სატურნირო ორბიტაზე

**ფეხბურთი.** ტაშკენტში გაიმართა უეფას ტურნირის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება მომავალი წლის 30 მარტს.

**მაგიდის ჩოგბურთი.** შვეციის ქალაქ ვესტეროსში გამართული სკანდინავიის ღია ჩემპიონატის სამ თანრიგში პირველი ადგილები შვედებმა მოიპოვეს: ს. ბენგსტონმა (ვაჟთა ერთეულებში), ა. ჰელმანმა (ქალთა ერთეულებში), ბენგსტონმა და ე. ტრომველმა (შერეულ წყვილებში).

**ჭადრაკი.** ბად-ლაუტერბერგში „ბურევესტნიკის" ნაკრებმა დაამარცხა როტერდამის გუნდი „ფოლმაკი" ანგარიშით 10:8 და მეორედ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „ბურევესტნიკის" ნაკრების ღირსებას იცავდნენ დიდოსტატები ვ. სმისლოვი, ი. ბალაშოვი, ი. რაზუვაევი, ვ. ბაგიროვი, ა. კოჩიევი და თამაზ გიორგაძე. გუნდის შემადგენლობაში იყო აგრეთვე საერთაშორისო ოსტატი ს. დოლმატოვი. ბუენოს-აირესში კი დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. პირველ ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბ. სპასკიმ დაამარცხა პარაგვაელი ზ. ფრანკო. ჩვენმა მეორე ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ინგლისელ ჟ. მაილსთან.

# ტალი: მინდა კარპოვს შევხვდე!

**საინტერესო** გადაცემა მოაწყო ამას წინათ სარაევოს (იუგოსლავია) ტელევიზიამ. მაყურებლები ტელეფონით უკავშირდებოდნენ გრაცში (ავსტრია) მყოფ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მიხეილ ტალს, უსვამდნენ მათთვის საინტერესო კითხვებს და დაუყოვნებლივ იღებდნენ პასუხს. ეს გადაცემა შედიოდა სერიაში „საზონათაშორისო ტურნირების ფავორიტები". გავეცნოთ ზოგიერთ კითხვა-პასუხს:

**— რას იტყვით მსოფლიოს პირველობის გათამაშების ამ ციკლის შესახებ?**

— გამოგიტყდებით, ამჯერად მე თვით მინდა შევხვდე მსოფლიო პირველობის მატჩში კარპოვს.

**— როგორ აფასებთ კარპოვის შესაძლებელი მეტოქეების შანსებს? ვის ექნება უკეთესი შესაძლებლობა — „ძველ გვარდიას" თუ ახალგაზრდობას?**

— ახლა, ნამდვილად მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი — კარპოვს პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამარჯვებული უნდა შეხვდეს. მაგრამ ვინ იქნება იგი? 8 პრეტენდენტს შორის 6 ვეტერანია, ახალგაზრდები არიან მხოლოდ ადორიანი და ჰიუბნერი. კიდევ ერთი ახალგაზრდა დიდოსტატი იქნება მომავალ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე — იგი თვით ანატოლი კარპოვია.

**— რა იყო საზონათაშორისო ტურნირების ყველაზე დიდი მოულოდნელობა?**

— ასეთად მიმაჩნია ახალგაზრდა ადორიანის პრეტენდენტთა რიცხვში მოხვედრა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ უნგრეთის საჭადრაკო სკოლას დიდი წარმატებები აქვს.

**— რა შედეგები გაქვთ სხვა პრეტენდენტებთან?**

— სპასკისთან უარყოფითი შედეგი მაქვს, მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს — ბოლო სამ შეხვედრაში მე იგი დავამარცხე. პეტროსიანთან ასევე ბევრჯერ მითამაშია და თანაბარი შედეგი მაქვს, ჰიუბნერთან ორი პარტია მოვიგე, ერთი წავაგე, დანარჩენი ყაიმით დასრულდა. პორტიშთან ასევე წინა ვარ, პოლუგაევსკისთან კი უარყოფითი შედეგი მაქვს.

**— სად გაიმართება მატჩი მსოფლიოს პირველობაზე?**

— ეს ჯობს თვით კარპოვს ჰკითხოთ.

**— როგორი შედეგი გაქვთ კარპოვთან?**

— მე მას 12-ჯერ შევხვდი. ყველა პარტია ყაიმით დასრულდა.

**— სად თამაშობდით უკეთესად, მონრეალსა თუ რიგაში?**

— ვფიქრობ, რიგაში უკეთ ვითამაშე, ისე კი ეს შეჯიბრებები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. სულ სხვანაირად თამაშობს კაცი ტურნირში, რომელსაც მსოფლიო პირველობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, და სულ სხვანაირად, როდესაც საქმე მსოფლიო პირველობას ეხება.

**— რას იტყვით კარპოვის შესახებ?**

— ამ დღეებში კარპოვმა ტილბურგში დაამტკიცა, რომ იგი ნამდვილი მსოფლიოს ჩემპიონია. აქ მან ლარსენს იმ მომენტში მოუგო, როცა დანიელი ერთპიროვნულად ლიდერობდა. იყო სხვა მომენტიც, — მონრეალში ლარსენმა დაამარცხა კარპოვი და ახლა იგი რევანშს ესწრაფვოდა. ხომ გახსოვთ, ბუგოინოში კარპოვს ტიმანმა სძლია, მონრეალში კი მსოფლიოს ჩემპიონმა ჰოლანდიელი ორჯერ დაამარცხა.

**გ. გამრეკელი.**



**თბილისში** რუსთაველის პროსპექტზე ახლახან გაიხსნა თბილისმრეწვავაჭრობის სპეციალური მაღაზია „ოლიმპიადა-80".

მაღაზია ლამაზად არის გაფორმებული და მას ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა ემსახურება.

* * *

**სურათებზე:** ზემოთ — მაღაზია „ოლიმპიადა-80"-ის სავაჭრო დარბაზში; ქვემოთ — ოლიმპიური სიმბოლოებით გაფორმებული ნაწარმი.

**ს. კილაძის ფოტო.**



## ტელევიზია

## 28 ნოემბერი

## თბილისი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — „საერთაშორისო დღიური" (ფ.), 19.00 — დოკუმენტური ფილმი, 19.10 — მოსწავლეთათვის „მეშვიდე გაკვეთილი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული. რესპუბლიკის გამოცხადების დღე. კონცერტი. (მ.), 20.35 — „მეცნიერის გახსენება" — ალექსანდრე ნოღაიდელი (ფ.), 21.00—„მოამბე", (ფ.), 21.30—კონცერტი (ფ.), 22.00—„ვრემია" (მ.), 22.45 — ფეხბურთი „უეფას" თასზე. სოფიის „ლოკომოტივი" — კიევის „დინამო". გადმოცემა სოფიიდან. შესვენების დროს — დღეს მსოფლიოში (მ.).

**მეორე პროგრამით:** 15.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „არაჩვეულებრივი კვირადღე", 16.00 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა, 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — დოკუმენტური ფილმი, 17.20 — კონცერტი, 18.55 — მხატვრული ფილმი „სათავეები" მეორე სერია (ფ.).

## მოსკოვი

**პირველი პროგრამით (თბილისის დროით):** 09.00 — „ვრემია", 09.40 — განვაახლოთ..., 10.05 — ნორჩთა შემოქმედება, 10.25 — „იატაკქვეშა საოლქო კომიტეტი მოქმედებს". მხატვრული ფილმი. მეორე სერია, 11.30 — კინომოგზაურობის კლუბი, დამთავრების შემდეგ — ახალი ამბები, 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — „შენი შრომა შენი ღირსებაა"; დოკუმენტური ფილმები, 16.45 — სამშობლოს სურათები. ვოკალური ციკლი, 17.00 — ჩინგიზ აიტმატოვი გვიამბობს..., 17.45 — გამოგვეხმაურეთ, ჰორნისტებო!, 18.15 — „სრულვყოთ მეურნეობრიობის მექანიზმი", 18.30 — ხალხურ საკრავთა ანსამბლის კონცერტი, 19.00 — მოსკოვური შეხვედრები, 19.30 — ყოველ სურათში მზეა, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის გამოცხადების დღისათვის — ფოლკლორული ანსამბლის „ერთიანობის" (ბელგრადი) კონცერტი, 20.35 — „იატაკქვეშა საოლქო კომიტეტი მოქმედებს". მხატვრული ტელეფილმი. მესამე სერია, 22.00 „ვრემია", 22.45 — ფეხბურთი უეფას თასზე. სოფიის „ლოკომოტივი" — კიევის „დინამო". შესვენებისას (23,30) — დღეს მსოფლიოში.

**მეოთხე პროგრამით:** 20.00 — ჰოკეი. გორკის „ტორპედო" — ცსკა. შესვენებისას (20.40) — „ძილი ნებისა, პატარებო!", 22.00 — კონცერტი. ი. იუოზაპაიტისის, ტ. კურბანოვის, მ. სკორიკის ნაწარმოებები, 22.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმები: „ბავშვები", „სოლო".

# დაიცავით სახანძრო უსაფრთხოების წესები!

**საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და საცხოვრებელი სახლების მფლობელთა საყურადღებოდ!**

**ზამთრის გათბობის სეზონი ხანძრის მხრივ ყველაზე საშიში პერიოდია.** ხანძარი უმეტესად ჩნდება გამთბობი ხელსაწყოების უწესივრობისა და საკვამლე მილების უსუფთაობის შედეგად.

**მოქალაქენო!** თქვენზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უსაფრთხოება.

**სახლიდან გასვლისას არ დაგავიწყდეთ ელექტროქსელში ჩართული ხელსაწყოების გამორთვა!**

**გახსოვდეთ!** უმეთვალყურეოდ მიტოვებული ხელსაწყოები იწვევენ ხანძარს.

**მშობლებო!** არ მისცეთ ბავშვებს ცეცხლთან თამაშის ნება, ნუ მიატოვებთ მათ ცეცხლთან უმეთვალყურეოდ, დაუმალეთ ასანთი!

**სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!**

უზრუნველყავით სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა მეცხოველეობის ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში.

**გახსოვდეთ!** ზამთრის პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ელექტროენერგიისა და გამთბობი მოწყობილობის გამოყენების დროს!

**საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.**

რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი.**

# ნახეთ, ხომ არ მოიგეთ?

**ოფიციალური ცხრილი**

**საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1979 წლის მეთერთმეტე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1979 წლის 25 ნოემბერს დაბა გეგეჭკორში. ტირაჟში გათამაშდა 288.000 მანეთის 90 ნივთმოგება და 159.910 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:**

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ღირებულება |
|---|---|---|---|
| 32005 | 287*) | იმპორტული ავეჯის გარნიტური | 585—00 |
| 32006 | 111*) | ელექტროსამოვარი | 21—00 |
| 32042 | 350*) | საცხოვრებელი ოთახის იმპორტული ავეჯის გარნიტური | 1200—00 |
| 32056 | 233*) | 50 მანეთი | — |
| 32057 | 071*) | 300 მანეთი | — |
| 32064 | 356*) | 25 მანეთი | — |
| 32065 | 129*) | 200 მანეთი | — |
| [illegible] | | | |
| 32665 | 486*) | 50 მანეთი | — |
| 32701 | 485*) | ელექტროსამოვარი | 21—00 |
| 32716 | 113*) | ავტომანქანა „ჟიგული-21011" | 6030—00 |
| 32729 | 045*) | 20 მანეთი | — |
| 32754 | 311*) | 20 მანეთი | — |
| 32767 | 455*) | 50 მანეთი | — |
| 32769 | 044*) | მაცივარი „ზილი" | 370—00 |
| 32771 | 038*) | 20 მანეთი | — |
| 32776 | 455*) | 200 მანეთი | — |
| 32778 | 475*) | 30 მანეთი | — |
| 32783 | 441*) | 30 მანეთი | — |
| 32818 | 189*) | 20 მანეთი | — |
| 32821 | 048*) | 1000 მანეთი | — |
| 32830 | 400*) | 25 მანეთი | — |
| 32838 | 320*) | მტვერსასრუტი | 45—00 |
| 32844 | 1—500 | 15 მანეთი | — |
| 32847 | 356*) | მაცივარი „ზილი" | 370—00 |
| [illegible] | | | |
| 33608 | 045*) | 200 მანეთი | — |
| 33611 | 225*) | ხალიჩა 1,5X2,5 მ. | 225—00 |
| 33620 | 346*) | 300 მანეთი | — |
| 33625 | 307*) | ავტომანქანა „ჟიგული-2106" | 7900—00 |
| 33635 | 017*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა-3" | 203—00 |
| 33647 | 489*) | 20 მანეთი | — |
| 33671 | 481*) | 200 მანეთი | — |
| 33686 | 107*) | 30 მანეთი | — |
| 33691 | 161*) | ხალიჩა 1,5X2,5 მ. | 225—00 |
| 33695 | 261*) | 25 მანეთი | — |
| 33697 | 425*) | კინოაპარატი „ლომო-216" | 70—00 |
| 33726 | 081*) | 20 მანეთი | — |
| 33762 | 317*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა-3" | 203—00 |
| 33769 | 107*) | მაგნიტოფონი | 220—00 |
| 33803 | 402*) | 30 მანეთი | — |
| 33806 | 484*) | 25 მანეთი | — |
| [illegible] | | | |
| 34249 | 302*) | 100 მანეთი | — |
| 34251 | 378*) | 25 მანეთი | — |
| 34254 | 030*) | 25 მანეთი | — |
| 34256 | 194*) | მტვერსასრუტი | 45—00 |
| 34257 | 020*) | 1000 მანეთი | — |
| 34259 | 457*) | 50 მანეთი | — |
| 34272 | 112*) | 25 მანეთი | — |
| 34298 | 186*) | ხალიჩა 1,5X2,5 მ. | 225—00 |
| 34307 | 142*) | 25 მანეთი | — |
| 34346 | 254*) | 300 მანეთი | — |
| 34353 | 210*) | 50 მანეთი | — |
| 34354 | 489*) | მაგნიტოფონი | 220—00 |
| 34375 | 251*) | 50 მანეთი | — |
| 34380 | 428*) | 20 მანეთი | — |
| 34390 | 060*) | 25 მანეთი | — |
| [illegible] | | | |
| 34769 | 345*) | მტვერსასრუტი | 45—00 |
| 34774 | 470*) | 20 მანეთი | — |
| 34778 | 073*) | მაცივარი „ზილი" | 370—00 |
| 34788 | 496*) | 25 მანეთი | — |
| 34799 | 157*) | 30 მანეთი | — |
| 34814 | 192*) | 25 მანეთი | — |
| 34827 | 047*) | ელექტროსამოვარი | 21—00 |
| 34846 | 184*) | 50 მანეთი | — |
| 34847 | 425*) | 100 მანეთი | — |
| 34848 | 421*) | 25 მანეთი | — |
| 34873 | 313*) | 20 მანეთი | — |
| 34874 | 246*) | ელექტროსამოვარი | 21—00 |
| 34877 | 337*) | კინოაპარატი „ლომო-216" | 70—00 |
| 34878 | 338*) | მაგნიტოფონი | 220—00 |
| 34889 | 156*) | მტვერსასრუტი | 45—00 |
| [illegible] | | | |
| 35160 | 198*) | ხალიჩა 1,5X2,5 მ. | 225—00 |
| 35161 | 158*) | 25 მანეთი | — |
| 35164 | 068*) | მტვერსასრუტი | 45—00 |
| 35169 | 345*) | 50 მანეთი | — |
| 35174 | 300*) | 25 მანეთი | — |
| 35175 | 277*) | 30 მანეთი | — |
| 35190 | 032*) | 30 მანეთი | — |

**შენიშვნა:** ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სვეტში — „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500, ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

## მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, მოგებული ნივთის ნაცვლად 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერ შემნახველ სალაროში. 100 მანეთზე მეტ მოგებას გასცემენ ცენტრალური და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში.

მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1980 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

**შენიშვნა:** სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები მოგებული ნივთის გამოსათხოვად მიიღებენ აგრეთვე ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროში და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

**კომისიის თავმჯდომარე** — გეგეჭკორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — **ქ. ასათიანი.**
**კომისიის თავმჯდომარის მოადგილე** — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი — **ა. დვალი.**
**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი** — სსრ კავშირის სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი — **ზ. კურტანიძე.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02466 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20